

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**სალიტერატურო ენის
საკითხები
III**

2022 წლის 15-16 აპრილი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2022

სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახე-
ლობის **ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში**
(პ. ინგოროყვას ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **თამარ ვაშაკიძე**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის განრიგი

15 აპრილი, 11 საათი

თავმჯდომარე – თ. ვაშაკიძე

ამირან ბასილაშვილი – უდიური – გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ენა

თინათინ ბოლქვაძე – საზოგადოებრივი აზრი ენობრივ ნორმათა ცვლილებაზე

თეა ბურჭულაძე – ნომერ პირველი თუ ნომერი პირველი?

გიორგი გოგოლაშვილი – კანონი და ფაქტი ენობრივ სფეროში – ნორმალიზაციის პრობლემები

ქეთევან დათუკიშვილი – დეფისიან კომპოზიტა მართლწერისათვის ქართულში

თამარ ვაშაკიძე – სახელისა და გვარის პარადიგმისათვის

ზურაბ ვახანიანი – მნიშვნელობა, რაობა და მართლწერა სიტყვისა „ერთერთი“

მაკა ლაბარტყავა – რამდენიმე სახის ფუმეგაორკეცებულ კომპოზიტა მართლწერისათვის

ნანა ლოლაძე – ანგლიციზმები და ქართული სიტყვაწარმოების ტენდენციები

ვახტანგ მაღრაძე – ერთი სახის გეოგრაფიულ სახელთა მართლწერისათვის

თამარ მახარობლიძე – ქართული ჟესტური ენის სტანდარტიზაციის საკითხები

სალომე ოშიაძე – ინვექტივის აქტივაციის შესახებ

მარიამ ორკოდაშვილი – პაუზისა და სიჩუმის შემავსებლები ქართულსა და ინგლისურში

მანანა რუსიეშვილი, ლია ქაროსანიძე – ქართულ-ინგლისურ ცნებათა შესატყვისობები (მასალები ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონისათვის)

16 აპრილი, 11 საათი
თავმჯდომარე – თ. ბურჭულაძე

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი – ბრჭყალების გამოყენების ერთი შემთხვევისათვის

დ ო დ ო ლ ლ ო ნ ტ ი – ქართულ ანდაზაში უკუფენილად გაცხადებული ქრისტიანული სათქმელისათვის (რწმენისა და ცოდნის გაერთიანების გამო)

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა – ჩერქეზული სალიტერატურო ენების შესახებ

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – ლექსემა *ბიუჯეტური* ახალ კონტექსტში – ენობრივი არჩევანი „აზრობრივი აქცენტით“

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა – ქართველური დამწერლობა

ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა – სასწავლო კომიტეტის მიერ 1921 წლის იანვარ-თებერვალში მიღებული სალიტერატურო ენის ნორმები (სა-არქივო მასალების მიხედვით)

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – მწერლისა და პერსონაჟების ენარ. ინანიშვილის მოთხრობების მიხედვით

ნ ი ნ ო ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე – სიტყვასიტყვითი ნაწილაკების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგი ტენდენციის შესახებ

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ლ ე ლ ა ჩ ო თ ა - ლ ი შ ვ ი ლ ი – მცენარეთა ლათინური სამეცნიერო სახელების ქართულად გადმოტანის ზოგიერთი თავისებურება

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე – ა-ზე დაბოლოებულ ტოპონიმთა კვეცა-უკვეცელობის საკითხისათვის თანამედროვე ქართულში

სტუდენტთა სექცია

ნ ა მ ი ლ გ ა ს ა ნ ო ვ ი – სიტყვა „მაღლის“ შემცველი ფრაზეოლოგიური გამოთქმები აზერბაიჯანულში (ქართულთან მიმართებით)

მ ა რ ი ა მ ტ ე ფ ნ ა ძ ე – მსაზღვრელ ნაცვალსახელთა ბრუნების ტიპები ძველ ქართულში

ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე – ოპოზიციურ წყვილთა სემანტიკური ჯგუფებისათვის ქართულში

უდიური – გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ენა

უდიური ენის სიცოცხლისუნარიანობის ხარისხის შემცირებისა და გაქრობის საფრთხის წინაშე დადგომის მთავარი მიზეზი ისევე, როგორც, ზოგადად, სხვა გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ენების შემთხვევაში, ამ ენაზე მოლაპარაკე (უდი) ხალხის მცირერიცხოვნობაა.

დროთა განმავლობაში მცირდებოდა უდიურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა. 2008 წლის მონაცემებით უდიების საერთო რაოდენობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან მცირე, 8500-მდე, იყო, საქართველოში კი უდიების რაოდენობა 500-ს არ უნდა აღემატებოდეს.

უდიები საქართველოში 100 წლის წინ აზერბაიჯანიდან, სოფ. ვართაშენიდან გადმოსახლდნენ. ისინი ყვარლის რაიონში დასახლდნენ და სოფელი ზინობიანი დააარსეს. საქართველოს უდიებში, ბუნებრივია, ნელ-ნელა გახშირდა შერეული ქორწინებები – როცა უდი მამაკაცები ქართველ ქალებზე ქორწინდებოდნენ, უდი ქალები კი ქართულ ოჯახებში თხოვდებოდნენ. საქართველოში ახალგადა-მოსახლებულ უდიებში ჩამოყალიბებული ერთგვარი ტრადიცია, როცა ვაჟებს აზერბაიჯანის ორ სოფელში – ვართაშენსა და ნიჯში მცხოვრები უდი ქალიშვილები მოჰყავდათ ცოლად, დღეს დავიწყებულია. ასეთ ვითარებაში, როცა მშობლებიდან ერთ-ერთმა, განსაკუთრებით კი დედამ, უდიური ენა არ იცის, ოჯახში უდიურ ენაზე არ ლაპარაკობენ, ცხადია, ბავშვს უდიური ენა არ ეცოდინება. ასე წყდება ენობრივი ჯაჭვი და უფროსი თაობიდან უმცროსს ენა აღარ გადაეცემა. ზინობიანში გვაქვს რამდენიმე ისეთი სასიხარულო შემთხვევა, როცა ქართველმა რძლებმა უდიური ენა შეისწავლეს, მაგრამ ამგვარი ფაქტები საერთო სურათს ვერ ცვლის.

ზინობიანში პაპებმა და ბებიებმა იციან უდიური ენა, ზოგჯერ შვილებმაც, მაგრამ შვილიშვილებმა ან აღარ იციან, ან მხოლოდ ეს-მით, მაგრამ თავად კომუნიკაციას ვერ ახერხებენ. იქიდან გამომდინარე, რომ ქ. ოღუზში (ყოფილი სოფ. ვართაშენი) ბოლო ათწლეულებია, საგრძნობლად შემცირდა უდიების რაოდენობა, ზინობიანი

რჩება ერთადერთ კომპაქტურ დასახლებად, სადაც უდიური ენის ვართაშნული (ვართაშნულ-ზინობიანური) დიალექტი ჯერ კიდევ ისმის, მაგრამ არსებობს საფრთხე ამ დიალექტის საერთოდ დაკარგვისა.

საქართველო იბერიულ-კავკასიური მოდგმის ერთადერთი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, რომლის მოსახლეობის საერთოეროვნული არჩევანი დემოკრატიული და პლურალისტული საზოგადოების ჩამოყალიბებაა. საქართველო თავისი წარსულითა და აწმყოთი ვალდებულია იზრუნოს (და აქ არ იგულისხმება მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებული ვალდებულებები) სხვა კავკასიელ ხალხებზე, მათ ენებსა და კულტურაზე, განსაკუთრებით მცირერიცხოვან და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ-ენობრივ ჯგუფებზე.

იმისათვის, რომ უდიური ენის გაქრობის პროცესი შევაჩეროთ, შევაფერხოთ, პირველ რიგში – საჭიროა, თავად უდიური ენის მატარებელთა მხრიდან ერთგულებით, სიყვარულითა და მზრუნველობით სავსე დამოკიდებულება მშობლიური ენის მიმართ. ზინობიანელი უდიები ყველანაირად უნდა ეცადონ, ენა ოჯახში, ყოფით ცხოვრებაში მაინც შეინარჩუნონ და შეძლებისდაგვარად გადასცენ თაობიდან თაობას. ამასთან ერთად, სახელმწიფომ და საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს უდიური ენის გადარჩენის პროცესს. ზინობიანის სკოლაში უნდა აღდგეს უდიური ენის სწავლება და მისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობაც მიზნის შესაბამისი უნდა იყოს. ზინობიანში მაქსიმალურად უნდა შეიქმნას უდიური გარემო. ქართულთან ერთად უდიური ენა უნდა ისმოდეს ოჯახში, სკოლაში, მთელ სოფელში. უნდა გააქტიურდეს უდიური ენის პრესტიჟულობის საკითხი.

თ ი ნ ა თ ი ნ ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე

საზოგადოებრივი აზრი ენობრივ ნორმათა ცვლილებაზე

მოხსენებაში განიხილება სოციალურ ქსელებში გამოთქმული მოსაზრებები სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ნორმათა დამდგე-

ნი ექსპერტთა კომისიის მუშაობის თაობაზე, განსაკუთრებით კი ახალი ნორმების შესახებ.

საზოგადოება ნორმათა განახლებას ინტერესით ხვდება, მაგრამ დამკვიდრებული ნორმის შეცვლა დავას იწვევს იმ შემთხვევებშიც კი, როცა ასეთი ნორმების დარღვევა ძალიან გავრცელებულია თვით ოფიციალურ ზეპირ თუ წერილობით ფორმებში. სამაგალითოდ განხილულია მორფოლოგიური (სახელებისა და ზმნის ფორმები) და უცხო ენათა ბგერითი სისტემების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის რამდენიმე წესი.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ნომერ პირველი თუ ნომერი პირველი?

ბოლო პერიოდში თანამედროვე ზეპირ თუ წერით მეტყველებაში საგრძნობლად გააქტიურდა სიტყვათშეხამება **ნომერ პირველის** გამოყენების შემთხვევები. ის სპეციფიკური შესიტყვებაა, რაც იწვევს მისი განსხვავებული ვარიანტების გაჩენას. შესიტყვების თავისებურება ვლინდება რამდენიმე ფაქტორით. უპირველესად აღსანიშნავია შინაარსობრივი სხვაობა იმისდა მიხედვით, პირდაპირია წყობა თუ შებრუნებული. კერძოდ, პრეპოზიციის შემთხვევაში გამოიხატება რიგითობა: „რიგით სხვაზე უწინარესი, ყველაზე წინ მყოფი, ყველაზე ადრე არსებული“ (ქეგლი). მაგალითად: „მე რიგში **პირველი ნომერი** ვიყავი“; „თქვენ გუნდის **პირველი ნომერი** ხართ“... პოსტპოზიციური წყობისას კი განსხვავებული ვითარება გვაქვს, კერძოდ, ის აღნიშნავს: ვისაც (რასაც) პირველი ადგილი უკავია – ყველაზე კარგი, საუკეთესო (ქეგლი). მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში წარმოიჩენილია არა უბრალოდ რიგითობა, არამედ პროფესიაში, საქმიანობაში პირველობა. ის შინაარსობრივად საუკეთესოს ხაზგასასმელადაა გამოყენებული. მას ენა მოიხმარს მაშინ, როცა განსაკუთრებული წვლილის, ცოდნისა თუ პროფესიონალიზმის (ან თუნდაც ცნობადობის გამო) ამ თუ იმ სფეროში პირველობის წარმოიჩენა სურთ, შდრ.: „ის ჩვენი ქვეყნის **ნომერ/ნომერი პირველი** პოლიტიკოსია“;

„ის ჩვენს სფეროში **ნომერ/ნომერი პირველი** კომპანიაა“; „ამ საქმეზე შესაძლოა მსოფლიოს **ნომერ/ნომერი პირველი** ჩოგანი დაიკითხოს“; „ახლა ჩვენი **ნომერ/ნომერი პირველი** ინვესტორი აზერბაიჯანია“; „ვინ მოკლა მსოფლიოს **ნომერ/ნომერი პირველი** ტერორისტი?“ და სხვ. ცხადია, მოყვანილ წინადადებებში პირდაპირი წყობა იმ შინა-არსს ვერ გადმოსცემს, რაც შებრუნებული კონსტრუქციით იგულისხმება.

დაწერილობის სიჭრელემ (**ნომერ პირველი** და **ნომერი პირველი**) ბუნებრივად დააყენა აღნიშნული სიტყვათმეხამების მართლწერის საკითხი – **ნომერი** სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი თუ ბრუნვის ნიშნით. აქ უთუოდ გასათვალისწინებელია უცხო ენის გავლენა. ხომ არ არაა ის რუსულიდან პირდაპირი თარგმნის შედეგი (**Номер первый**)?

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის უბრუნვისნიშნო ვარიანტი (სახელობით ბრუნვაში), ბუნებრივია, მიუღებელია ქართული მსაზღვრელ-საზღვრულისათვის. მართებული ვარიანტი იქნება **ნომერი პირველი**.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

კანონი და ფაქტი ენობრივ სფეროში – ნორმალიზაციის პრობლემები

1. საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს მეცნიერულ საფუძველზე დამყარებულ ნორმალიზაციის პროცესს. ბევრი რამ გაირკვა; ბევრი გასარკვევია; ბევრიც – უკვე გარკვეული – მოითხოვს გადასიჯვასა და განახლებას... განსაკუთრებით საინტერესო ეს უკანასკნელი მეჩვენება: – თითქმის **საუკუნის წინანდელი ნორმა აღარ ასახავს დღევანდელ ენობრივ რეალობას; დრო ითხოვს მის შეცვლას; ზოგ შემთხვევაში უკვე არსებული ზოგადი ნორმის დაზუსტება, დაკონკრეტება** ხდება საჭირო... არის შემთხვევები, როცა საკითხი ასე იოლად ვერ გადაწყდება... ასეთ შემთხვევაში უნდა მივიღოთ პრინციპული გადაწყვეტილება. სისტემური ენობრივი ცვლილებები სე-

რიოზული კორექტივების შეტანას გვიკარნახებს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებში.

2. ნორმატიულ რეკომენდაციებზე საუბრისას დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებას, ცვლილებათა კანონზომიერების ამოცნობას. ჩვენი აზრით, ეს კარგად წარმოჩნდა -**ავ** და -**ამ** თემისნიშნიან ზმნათა მაგალითზე. ეს ის შემთხვევა იყო, როცა თითქმის საუკუნის წინათ მიღებული ნორმა უნდა გადასინჯულიყო, ენობრივ ცვლილებათა კანონზომიერებიდან გამომდინარე.

3. ამ მაგალითმა ისიც აჩვენა, რომ ნორმის მიღებისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს არსებული ენობრივი სიტუაციის სწორ ანალიზსა და ლოგიკურ გადაწყვეტილებას. ამ თვალსაზრისით საინტრესო მსჯელობას გვთავაზობს მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი: „დღევანდელი ქართული ჩვენს თვალწინ სდუღს და ყალიბდება“ და ეს პროცესი დუღილისა სანამ არ განელდება, „სანამ არ გადაიხარშება და ერთ ყალიბში გამოიჭედება“, მანამ საშიშია ხელოვნური ჩარევა“... და იქვე დიდად საგულისხმო შეგონება: მართალია, „ზოგჯერ საჭირო არის, რომ კანონი წინ უსწრებდეს ფაქტს. მაგრამ ძალიან სახიფათო არის, თუ ენის დარგშიც კანონმა გაუსწრო ფაქტს“.

4. ზემომოყვანილი მაგალითი (-ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა ვითარება) იმის დასტურიც არის, თუ რას ნიშნავს – „კანონი წინ უსწრებდეს ფაქტს“... მსგავსი მაგალითები სხვაგვარა (იქნეს/იქნას, ვტირი/ვტირივარ...)... დამატებითი კვლევებია საჭირო და სწორი გადაწყვეტილების მიღება...

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

დეფისიანი კომპოზიტებისათვის ქართულში

როგორც ცნობილია, კომპოზიტები ორგვარი დაწერილობით გვხვდება: დეფისით და უდეფისოდ. „ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ ნათქვამია: „ყველა ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად, ხოლო ორ- და მეტმნიშ-

ვნელოზიანი – დეფისით“ („ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, თბ., 1970, გვ. 154-5). ერთმნიშვნელოზიანი და ორ- ან მეტმნიშვნელოზიანი კომპოზიტების გასამიჯნად შემოთავაზებულია „და“ კავშირის ჩასმის წესი. ამას გარდა, აღნიშნულია, რომ ზოგჯერ კომპოზიტი შეიძლება სხვა მაერთებელკავშირიანი სიტყვაშეერთებით შეიცვალოს, მაგრამ არ არის დასახელებული, რომელი კავშირები შეიძლება იყოს გამოყენებული ასეთ შემთხვევებში. ამ საკითხის შესწავლისათვის საანალიზოდ ავიღეთ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ დადასტურებული დეფისინი კომპოზიტები. ამგვარ რთულ სახელთა აბსოლუტურ უმრავლესობაში შესაძლებელია „და“ კავშირის ჩართვა, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც კომპოზიტის შემადგენელ ნაწილებს შორის „ან“ ან „თუ“ კავშირი უნდა ვიგულისხმოთ:

მეტ-ნაკლები – მეტი **ან** ნაკლები;

დღეს-ხვალ – დღეს **ან** ხვალ;

ხვალ-ზეგ – ხვალ **თუ** ზეგ;

ყოფნა-არყოფა – ყოფნა **თუ** არყოფნა და სხვ.

თუ ამგვარ მასალას გავითვალისწინებთ, კომპოზიტებში დეფისის გამოყენების წესი შესაძლოა ასე დაზუსტდეს: კომპოზიტი დაიწერება დეფისით, თუ მისი შემადგენელი ნაწილები შეიძლება გაერთიანდეს **და** (ზოგჯერ – **ან** ან **თუ**) კავშირით, ხოლო თუ ამგვარი გაერთიანება შეუძლებელია, მაშინ კომპოზიტი დაიწერება დეფისის გარეშე.

ამ წესს უკავშირდება კომპოზიტ „ერთ-ერთის“ დაწერილობის საკითხი. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ იგი დეფისით არის წარმოდგენილი და ტრადიციულად ასე იწერება. ზოგიერთი მკვლევრის (ვ. იმნაიშვილი, კ. გაბუნია, ზ. ვახანია...) აზრით, ეს კომპოზიტი უნდა დაიწეროს დეფისის გარეშე. ამ მოსაზრების ერთ-ერთი არგუმენტია ის, რომ აღნიშნული სიტყვის კომპონენტებს შორის „და“ კავშირი არ იგულისხმება. ეს ნამდვილად ასეა: **ერთ-ერთი** არ არის **ერთი და ერთი**, ფუძეებს შორის არ ჩაისმის „და“, მაგრამ აქ იგულისხმება სხვა მაერთებელი კავშირი („ან“). ეს სიტყვა ამგვარად განიმარტება:

ერთ-ერთი – ორიდან ერთი, ბევრთაგან ერთი რომელიმე, ერთი მრავალთაგანი (ქეგლი).

ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ „ან“ კავშირი: **ერთ-ერთი** – ორიდან (ბევრთაგან) ერთი: (ეს) ერთი **ან** (ის) ერთი.

თუ კომპოზიტებში დეფისის ხმარების წესის ჩვენებულ ვარიანტს (იხ. ზემოთ) გავითვალისწინებთ, მაშინ სიტყვა **ერთ-ერთი** უნდა დაიწეროს დეფისით.

და-ს გარდა სხვა მაერთებელი კავშირები შეიძლება ივარაუდებოდეს კიდევ ერთი ჯგუფის კომპოზიტურ რიცხვით სახელებში, რომლებიც გამოხატავენ საგანთა მიახლოებით რაოდენობას: ორი-სამი, ხუთი-ექვსი, ორას-სამასი და ა. შ. ამგვარ სახელთა ფუძეებს შორისაც **ან** ან **თუ** კავშირი უნდა ვიგულისხმოთ:

ერთი-ორი – ერთი ან ორი;

ორი-სამი – ორი ან სამი;

ჩვიდმეტ-თვრამეტი – ჩვიდმეტი თუ თვრამეტი და სხვ.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

სახელისა და გვარის პარადიგმისათვის

თანამედროვე ქართულში ნაკლებად დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა საკუთარი სახელი მოსდევს გვარს. მოქმედი ნორმის თანახმად, თუ გვარი უსწრებს სახელს, იბრუნვის ორივე კომპონენტი, ოღონდ სახ. და წოდ. ბრუნვებში პირის სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება მოქმ. და ვით. ბრუნვებს, მათთან მითითებულია ასე – „არ გვხვდება“.

სახ.	ორბელიან-ი გრიგოლ
მოთხრ.	ორბელიან-მა გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან-ს გრიგოლ-ს
ნათ.	ორბელიან-ის გრიგოლ-ის
მოქმ.	(არ გვხვდება)
ვით.	(არ გვხვდება)
წოდ.	ორბელიან-ო გრიგოლ

სახელი და გვარი ინვერსიული რიგით (ჯერ გვარი და შემდეგ სახელი) ძირითადად დასტურდება ანბანურ სიებში, სხვადასხვა სახის დავთარსა თუ ენციკლოპედიურ ლექსიკონებში, აგრეთვე (იშვიათად, მაგრამ მაინც) – სპეციფიკურ კონტექსტებში, მაგ., „**თავართქილაძე დავითი** მოემზადოს საპასუხოდ“; „**გელოვანმა გიორგიმ** წარმოადგინოს ინციდენტის ამსახველი მასალა“, „**გზირიშვილ ნინოს** გადაეცეს პირველი ხარისხის დიპლომი“ და მისთ. აღნიშნული ტიპის შემთხვევები, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ოფიციალურ-საქმიანი თუ კანცელარიული სტილისათვის.

მოცილე ფორმები (სახელისა და გვარის შებრუნებული წყობით გამოყენებისას) ყველაზე ხშირად დასტურდება ნათ. და მოქმ. ბრუნვებში ბოლოთანხმოვნიან გვარებთან, მაგ., „შეამოწმეს **შატბერაშვილ** (// **შატბერაშვილი**) **ვახტანგის** მიერ მომზადებული მასალა“. თუ გვარსაც სრულად დავურთავთ ნათ. და მოქმ. ბრუნვის ნიშნებს, სახელი განკერძოვდება და მძიმით ან ტირეთი გამოეყოფა მას. შესაძლებელია საკუთარი სახელი წინადადების მომდევნო წევრებისგანაც გაიმიჯნოს (მძიმით ან ტირეთი): „შეამოწმეს **შატბერაშვილის, ვახტანგის**, მიერ მომზადებული მასალა“...; „**დადიანით, ქეთევანით**, მთელი სპორტსკოლა ამაყოფს“ და მისთ. დასახელებული ტიპის შემთხვევები შედარებით ხელოვნურია და მათი მოხმობა ისევ და ისევ ოფიციალურ სტილს (ზოგჯერ კი ექსპრესიულობას) უკავშირდება.

თანამედროვე ქართულში ბოლოთანხმოვნიანი გვარის ინვერსიული წყობით გამოყენებისას ორი პარადიგმა გამოიყოფა:

ა) ადამიანის გვარი იბრუნვის ისე, როგორც **ბატონი** და **ქალბატონი** საკუთარ სახელებთან ერთად (სწორედ ეს სახეობა დასტურდება ყველაზე ხშირად თანამედროვე მეტყველებაში გვარისა და სახელის ინვერსიული წყობით გამოყენებისას).

სახ.	ორბელიან-ი გრიგოლ-ი
მოთხრ.	ორბელიან-მა გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან გრიგოლ-ს
ნათ.	ორბელიან-ი გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან-ი გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო გრიგოლ

ბ) გვარი ისე შეეწყობა სახელს, როგორც სპეციალობა-საქმი-
ანობისა თუ თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა.

სახ.	ორბელიან-ი გრიგოლ-ი
მოთხრ.	ორბელიან-მა გრიგოლ-მა
მიც.	ორბელიან გრიგოლ-ს
ნათ.	ორბელიან გრიგოლ-ის
მოქმ.	ორბელიან გრიგოლ-ით
ვით.	ორბელიან გრიგოლ-ად
წოდ.	ორბელიან-ო გრიგოლ

რაც შეეხება ბოლოთანხმოვნიან საკუთარ სახელს (**ვახტანგი, გრიგოლი, დავითი, რუსუდანი, ქეთევანი...**), ის შესაბამისი ნიშნე-
ბით გაფორმდება ყველა ბრუნვაში, მათ შორის – სახელობითშიც, რადგან სახელი (ისევე, როგორც გვარი) ისეთი ფორმით უნდა აისა-
ხოს პარადიგმაში, როგორითაც წინადადებაშია გამოყენებული სახ. ბრუნვის ფუნქციის შესრულებისას (მაგ., „**ბარათაშვილი ნიკოლოზი** [და არა ნიკოლოზ] გვირგვინია ქართული რომანტიკული ლირიკი-
სა“ ...). პირის სახელი ფუძის სახით წარმოდგება მხოლოდ წოდებით ბრუნვაში.

სახ.	ბარათაშვილ-ი ნიკოლოზ-ი
მოთხრ.	ბარათაშვილ-მა ნიკოლოზ-მა
მიც.	ბარათაშვილ ნიკოლოზ-ს
ნათ.	ბარათაშვილ-ი ნიკოლოზ-ის
მოქმ.	ბარათაშვილ-ი ნიკოლოზ-ით
ვით.	ბარათაშვილ ნიკოლოზ-ად
წოდ.	ბარათაშვილ-ო ნიკოლოზ

სახელისა და გვარის ინვერსიული რიგით ბრუნებისას ფუძე-
ხმოვნიანი გვარი ყველა ბრუნვაში უცვლელად იქნება წარმოდგენი-
ლი. ასეთ შემთხვევებში იბრუნვის მხოლოდ სახელი.

სახ.	ჭავჭავაძე ილია
მოთხრ.	ჭავჭავაძე ილია-მ
მიც.	ჭავჭავაძე ილია-ს

ნათ.	ჭავჭავაძე ილია-ს(ი)
მოქმ.	ჭავჭავაძე ილია-თი
ვით.	ჭავჭავაძე ილია-დ
წოდ.	ჭავჭავაძე ილია

ზ უ რ ა ბ ვ ა ხ ა ნ ი ა

მნიშვნელობა, რაობა და მართლწერა სიტყვისა „ერთერთი“

მოხსენებაში ლოგიკურად იქნება დასაბუთებული, რომ სიტყვას **ერთერთი** დეფისი არ სჭირდება. საამისოდ საჭიროა მხოლოდ ის, რომ კარგად გავიაზროთ ამ სიტყვის მნიშვნელობა და გრამატიკული რაობა.

სემანტიკით **ერთერთი** ძალიან ახლოსაა სიტყვასთან **ერთადერთი**. ორივე ლოგიკური კვანტორია. მათ შორის მცირე განსხვავებაა: **ერთადერთი** = მხოლოდ ერთი, ანუ დაკონკრეტებულია, მთქმელისთვის ცნობილია, რომ მხოლოდ ერთია; ხოლო **ერთერთი** = რომელიღაც ერთი, ანუ დაუკონკრეტებელია.

კვანტორი – ესაა ლოგიკური მსაზღვრელი, რომელიც განსაზღვრავს, აკონკრეტებს ან შემოფარგლავს იმ საგნების ერთობლიობას/არეს, რომლებსაც ეხება/მოიცავს წინადადების მტკიცება, შეკითხვა, ბრძანება თუ სხვა შეტყობინება: ეხება/მოიცავს ზოგიერთს, ყველას თუ არცერთს და ა. შ.

ერთერთი გრამატიკულად ნაცვალსახელია, კერძოდ, განუსაზღვრელობითი (ისევე, როგორც **ერთი** (გარკვეულ შემთხვევებში), **ვინმე**, **ზოგიერთი/ზოგი...**). არ არსებობს არცერთი კონტექსტი, რომელშიც სიტყვა **ერთერთი** უპასუხებს შეკითხვას „რამდენი“, „მერამდენე“ ან „მერამდენედი“. ის შეცდომით არის გათანაბრებული დეფისიან რიცხვით სახელებთან – **ორ-ორი**, **სამ-სამი**, **ათ-ათი** და ა. შ. დასახელებული რიცხვითი სახელების რიგში უნდა იყოს არა **ერთერთი**, არამედ **თითო-თითო**, რომელიც ნამდვილად ორცნებიანია და სჭირდება დეფისი. ხოლო **ერთერთი**, როგორც ითქვა, ყველა კონტექსტში ერთცნებიანია და ერთად უნდა დაიწეროს.

რამდენიმე სახის ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტა მართლწერისათვის

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოსაქმნელად ფართოდ გამოიყენება კომპოზიცია ანუ თხზვა, რაც გულისხმობს ორი ან მეტი ფუძის (ან სიტყვის) შეერთებას. თუ დერივაციის დროს ახალი ლექსიკური ერთეულები წარმოიქმნება დერივაციული, მნიშვნელობის მცვლელი, აფიქსების დართვით, კომპოზიციის დროს ახალი ფუძეები იქმნება დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების შეერთებით. მათი შერწყმის შედეგად ვიღებთ რთულ სიტყვას ანუ კომპოზიტს. კომპოზიციას მიაკუთვნებენ აგრეთვე სახელის ფუძის განმეორებას ანუ რედუპლიკაციას...“

1. თანამედროვე ქართულში დაწერილობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რიცხვითი სახელის ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტი **ერთ-ერთი**. „ნორმებში“ აღნიშნულია, რომ „დეფისით უნდა დაიწეროს ორმნიშვნელობიანი კომპოზიტები“. მათ შორისაა რიცხვითი სახელების ფუძის გაორკეცებით მიღებული ლექსიკური ერთეულები: **ერთ-ერთი, ორ-ორი, სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ათ-ათი**. შესაბამისად, დასახელებული კომპოზიტი **ერთ-ერთი** დეფისითაა დაშვებული „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონსა“ და „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

რადიო-ტელევიზიისა თუ პრესის ენაში (ასევე მწერლობაში) რიცხვითი სახელის შემცველი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი **ერთ-ერთი** ხშირად დასტურდება ერთად დაწერილობით (**ერთერთი**), მაგ.: „თბილისის საკრებულოს ცნობით, **ერთერთ** გეოგრაფიულ ობიექტს კომპოზიტორ გია ყანჩელის სახელი მიენიჭება“ (<https://tabula.ge>), შდრ.: „საქართველო **ერთ-ერთი** სამაგალითო ქვეყანაა ღია მმართველობაში“ (<https://parliament.ge>); „პეტერბურგში ჩემი **ერთერთი** ჩასვლისას შევიტყვე და დავრწმუნდი რომ სახნოვი ასე მოქმედებდა“ (ჭ. ამერიჯიბი), შდრ: „და განა ლიტერატურა კულტურული დასვენების **ერთ-ერთი** საუკეთესო საშუალება არ არის?“ (გ. დოჩანაშვილი)...

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: როგორ წარმოვადგინოთ ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში რიცხვითი სახელის ფუძის გაორკვევებით მიღებული კომპოზიტი **ერთ-ერთი** – ერთად თუ დეფისით?

2. თანამედროვე ქართულში დაწერილობის თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა **-ობა** მაწარმოებელდართული, მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ფუძეგაორკვევებული კომპოზიტები – **ას-ასობით, სამ-სამობით...**

„სიტყვათმწარმოებელი აფიქსების დართვა ერთ მთლიანობად, ერთ სიტყვად კრავს არა მარტო დეფისით დაწერილ, არამედ უდეფისოდ, ორ სიტყვად გაფორმებულ შესიტყვებასაც. მაგალითად: თეთრი კაბა – თეთრკაბიანი, კაცური კაცი – კაცურკაცობა“ – შენიშნავს ვახტანგ იმნაიშვილი.

ქართულში გვხვდება ზემოთ დასახელებულ კომპოზიტთა (**ას-ასობით, სამ-სამობით**) ერთად დაწერილობის შემთხვევები – **ასასობით, სამსამობით**, მაგ.: „ეს არის საზოგადო კრება, რომელზედაც ქართველობა **ასასობით** მაინც უნდა ესწრებოდეს“ (<https://csogeorgia.org>), შდრ.: „ახლა კი რეგიონულ ვეზირებს **ას-ასობით** ლარი დააწვიმეს“ („საქ. რესპუბლიკა“, 2009); „თუ **სამ-სამობით** ითვლი და პირველს ასახელებ 6-ს, მერამდენე იქნება რიცხვი 27?“ (<https://quizizz.com>), შდრ.: „გოგონას რჩევა გაითვალისწინა, აბები **სამსამობით** დალია“ (<https://ru-ru.facebook.com>)....

როგორ გავითვალისწინოთ ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში აღნიშნული ტიპის ფუძეგაორკვევებული კომპოზიტები (რიცხვითი სახელებით წარმოდგენილი), რომელთა მეორე კომპონენტი **-ობა** მაწარმოებელს დაირთავს (**ას-ასობით** თუ **ასასობით, სამ-სამობით** თუ **სამსამობით...**).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ანგლიციზმები და ქართული სიტყვაწარმოების ტენდენციები

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან სულ უფრო ინტენსიური ხდება ინგლისური ენიდან სესხებისა და ადრე ნასესხები სიტყვების გააქტიურების პროცესი.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება ნასესხობების ასიმილაციის ხარისხით. კერძოდ, ენაში ხდება უცხო სიტყვების პასიური მიღება ან ეს სიტყვები რაიმე სახის ცვლილებას განიცდის და მიმღები ენა თავის ყალიბში აქცევს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენად მონაწილეობს ნასესხები მასალა, ამ შემთხვევაში ინგლისური ან ინგლისურის გზით შემოსული სიტყვები, ქართული ენის სიტყვაწარმოების პროცესებში.

ინგლისურკომპონენტისანი რთული სიტყვები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. რთული სიტყვები, რომელთა ყველა კომპონენტი ნასესხებია – ეს არის ნასესხობები, რომლებიც ინგლისურში შესიტყვებები და ქართულში ქმნიან რთულ სიტყვებს, ამ ტიპისაა: **ბიზნესკლასი (business class)**, **კოლცენტრი (call centre)** და მისთ.; სიტყვები, რომლებიც ინგლისურშივე კომპოზიტებია, მაგ., **ბიზნესმენი**, ქართულში რთულ სიტყვებად არ უნდა ჩაითვალოს.

2. ე. წ. „ჰიბრიდული სიტყვები“, რომელთა ერთი-ერთი კომპონენტი ინგლისურიდანაა ნასესხები, მეორე კი ქართულია: **ბიზნესსაათი (business hours)**, **ბიზნესგარემო (Business Environment)**, **მედიასწავლება (media studies)** და მისთ.

ენაში შეინიშნება ჰიბრიდული რთული სიტყვების შექმნის ძლიერი ტენდენცია. ეს გამოწვეული უნდა იყოს უცხოური ლექსიკის მოჭარბებული შემოსვლით, რამაც ბიძგი მისცა ენის სიტყვაწარმოებითი პოტენციალის გააქტიურებას და რაც ძალზე საგულისხმო ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

დგება საკითხი, რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ამ რთულ სიტყვებს. ფუნქციურად ეს სიტყვები მართულმსაზღვრელიან კომპოზიტებს უთანაბრდება, თუმცა განსხვავებული სტრუქტურისაა. კომპოზიტების ამგვარი წარმოება ქართულისათვის ბუნებრივი არ არის.

ამგვარი ყალიბი აქვს რთულ სიტყვებს, რომლებიც უცხოური წარმომავლობის, ჩვეულებრივ, ბერძნულ-ლათინური ელემენტების დართვით მიიღება. საუბარია **არქი-**, **ექსტრა-**, **ინფრა-**, **სუპერ-**, **ულტრა-**, **ჰიპერ-** და მისთ. შესახებ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არის არც ამ ტიპის ელემენტების კვალიფიკაციის თვალსაზრისით. კერძოდ, არსებობს მოსაზრება, რომ ეს დერივაციული აფიქსებია (ამ შემთხვევაში პრეფიქსები), ზოგი განიხილავს როგორც ძირეულ მორფემებს ან როგორც მათ შორის გარდამავალს – მორფემოიდებს.

ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ლ რ ა ძ ე

ერთი სახის გეოგრაფიულ სახელთა მართლწერისათვის

უცხოური გეოგრაფიული სახელების გადმოცემისას თანამედროვე ქართულში დგება მათი დაწერილობის საკითხი.

განიხილება უთარგმნელი გეოგრაფიული სახელები. ვინაიდან ტოპონიმები მომდინარეობს სხვადასხვა ენიდან, ხანდახან გათვალისწინებულია მათი მშობლიური ენის დაწერილობა. ხშირად ერთგვარობა დარღვეულია: ტოპონიმი (ნიუ-იორკი) ძველად იწერებოდა დეფისით, ამჟამად ცალ-ცალკე – ნიუ იორკი. თუ ტრადიცია ამოსავალი, მაშინ არ უნდა შევცვალოთ ფორმა. თუმცა ტენდენცია ერთად დაწერილობას (და მართებულადაც) უჭერს მხარს და ძირითადად ასეც გვხვდება: ნიუიორკი. უცხოური ენების დაწერილობის პრინციპები ხშირად მიუღებელია ქართული ორთოგრაფიისათვის.

მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურის მქონე ტოპონიმები ქართულად სამი ვარიანტითაა წარმოდგენილი: ცალ-ცალკე, დეფისით და ერთად. **ტოპონიმები იწერება ერთად:** ნიუპორტი... **ტოპონიმები დეფისითაა:** სან-ფრანცისკო... **ტოპონიმები ცალ-ცალკეა:** ნიუ მექსიკო და ა. შ.

თუ კანონზომიერებას დავიცავთ და მართლწერის პრინციპს გავითვალისწინებთ, არ უნდა იყოს ერთი და იმავე მსაზღვრელებით შედგენილი კომპოზიციები სხვადასხვაგვარად გაფორმებული: **ნიუ-იორკი –ნიუპორტი** (New –ახალი, ინგლ.); **ბლექ-ჰილზი –ბლექბერნი** (Black – შავი, ინგლ.) **ბლუ-რაჯი – ბლუფილდზი** (Blue – ლურჯი, ინგლ.); **ტიან-შანი** (ციური მთები), **ტიანძინი** („ციური კარი“ – მდ., ტიან – ციური, ჩინ.); **ყიზილ-ირმაკი** („წითელი მდინარე“), **ყიზილთაუ** („წითელი ქედი“, ყიზილ – წითელი, თურქ.); **ყარა-ირტიში** („შავი მდინარე“), **ყარაყული** („შავი ტბა“, ყარა – შავი, თურქ.) (სკესოლ)...

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები, ანუ ტოპონიმები, რამდენადაც ცნობილია, მხოლოდ და მხოლოდ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი, მისათითებელი, მათრეინტირებელი ფუნქციითაა დატვირთული. მას სხვა დანიშნულება არც გააჩნია. რადგან „**ტოპონიმი, როგორც ერთი გარკვეული ობიექტის საკუთარი სახელი, ერთცნებიანია**“ (ვ. ნიკონოვი), იგი ერთი კონკრეტული ობიექტის აღმნიშვნელია. ვ. მაკალათიას მოსაზრებით, „**სიტყვა, რომელიც გარკვეულ, კონკრეტულ ობიექტზე მიუთითებს და, მასასადამე, ტოპონიმის მნიშვნელობა აქვს მიღებული, გარეგნულად უცვლელიც რომ იყოს, ეტიმოლოგიური შინაარსიც რომ ჰქონდეს შენარჩუნებული, სინამდვილეში მოწყვეტილია თავის პირვანდელ – ტოპონიმამდელ მნიშვნელობას**“.

ქართული ორთოგრაფიის პრინციპებით კი, თუ კომპოზიტი (უცხოური) ერთცნებიანია, იგი ერთად უნდა დაიწეროს. ეს წესი უნდა მოქმედებდეს ტოპონიმებზეც, რომლებიც არ არის ნათარგმნი. ისინი ერთად უნდა დაიწეროს – მიუხედავად იმისა, როგორაა დედანაში გაფორმებული; უგამონაკლისოდ უნდა შეეხოს ყველა ტოპონიმს, არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ის გამჭვირვალე (**ნიუპორტი** (ახალი), **სანტაბარბარა** (წმინდა) (სკესოლ) **ყარაყული** (შავი), **ყიზილთაუ** (წითელი), **ხუანხაი** („ყვითელი ზღვა“), **ხუანხე** („ყვითელი მდინარე“, ხუან – ყვითელი, ჩინ.)... თუ ბუნდოვანი (ანანდაპური [**ananda-pur**], ანანტაპური [**ananta-pur**]; ადილაბადი [**adil-abad**], ალაჰაბადი [**alah-abad**] – ქალაქები ინდოეთში) (კენჭოშვილი).

მრავლადაა უცხოური დეფისიანი ტონონიმები, რომლებიც ქართულშიც დეფისით ფორმდება (მაგ., ბიგ-ჰორნი – Big-Horn, მთები აშშ-ში...).

მართებულადაა გადმოტანილი უცხოური ერთსიტყვად დაწერილი ტოპონიმები ქართულში: ბლექბერნი Blackburn და ბლექპული Blackpool (საგრაფოები ბრიტანეთში); უაიტჰორსი Whitehorse (ქალაქი კანადაში); ყიზილრმაქი Kizilirmak და ყარასუ karasu (მდინარეები თურქეთში)...

თუ ვიცავთ მასესხებელი ენის დაწერილობას, მაშინ ბოლომდე ამ პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

უცხოური ენები არ მისდევს მართლწერის ერთ პრინციპს (ამ თვალსაზრისით), რაც სრულ უფლებას გვაძლევს, დავიცვათ თანმიმდევრულობა ქართულში და **უცხოური რთული ტოპონიმები ერთად ვწერთ**. „...ბევრი გეოგრაფიული სახელი თუმცა წარმოშობით მთელ შესიტყვებას წარმოადგენს, მაგრამ ამჟამად აღარც კი გგონია, რომ რთული შემადგენლობისაა (ხიდისთავი, მუხათგვერდი, ნინოწმინდა...)“ („თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“).

ქართული მართლწერა აშკარად ერთად წერის ტენდენციას უჭერს მხარს და – რაც მთავარია – მშობლიური ენის ორთოგრაფიის პრინციპებიც არ დაირღვევა.

თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე

ქართული ქესტური ენის სტანდარტიზაციის საკითხები

ქესტური ენები არის ზეპირი კომუნიკაციის ენები. ამდენად, ამ ენათა სტანდარტიზაციის საკითხები, როგორც წესი, რიგ ტექნიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქესტურ ენათა სხვადასხვა ტიპის ჩაწერის ფორმები, რეალურად ასეთი ფორმები არ გამოიყენება ამ ენათა დოკუმენტირებისათვის და მხოლოდ ვიდეოფორმატია მიღებული ქესტური ენების კორპუსული თუ კერძო საანალიზო მასალათა შესაგროვებლად. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მაღალი დინამიკის ახლაგაზრდა ენებია და, აქედან გამომდინარე, გრამატიკალიზაციის პროცესი გაცილებით სწრაფია, ვიდრე სამეტყველო ენებში. სხვადასხვა ქვეყნებში ქესტურ

ენას განსხვავებული სტატუსი აქვს და სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ ენათა მიმართ, შესაბამისად, განსხვავებულია. ენის სტანდარტიზაციის პროცესი უშუალოდ უკავშირდება მისი სტატუსის საკითხს და ასევე – ამ ენის მეცნიერულ კვლევებს. აღსანიშნავია, რომ ქესტური ენებისთვის სტანდარტიზაცია უდრის ამ ენების სალიტერატურო ვერსიების შექმნას.

მოხსენებაში დეტალურად იქნება წარმოდგენილი ქართული ქესტური ენის სტანდარტიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და არსებული პრობლემები.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

ინვექტივის აქტივაციის შესახებ

თანამედროვე ადამიანთა ენობრივი ცნობიერების გაღარიბებისა და კომუნიკაციური ქცევის დამდაბლების მიზეზად მასობრივი კულტურის გავლენას ასახელებენ. დღეს სიტყვიერად გამოხატულ რეაქციებში უმართებულოდ არის წინ წამოწეული ემოციური კომპონენტი, რასაც, თავის მხრივ, რაციონალური კომპონენტის რედუქცია მოსდევს. მართალია, ემოცია ენობრივი პიროვნების საყრდენს წარმოადგენს, მაგრამ საჯარო სივრცეში უგულვებელყოფილია ის პრინციპული სხვაობა, რომელიც მართულ, კულტურის ფარგლებში მოქცეულ ემოციასა და ბიოლოგიურ ემოციას შორის არსებობს. ბიოლოგიური ემოციების უმართაობა, მათი კორეგირების გარეშე გამოძღვანება ქცევისა და მეტყველების დაბალი კულტურის ნიშანია.

ინვექტივა, როგორც სიტყვიერი აგრესია, უნივერსალური ლინგვისტური მოვლენაა. იგი გარკვეულ ადგილს იკავებს ნებისმიერი კულტურის ენაში და მას საუკუნეებით ჩამოყალიბებული ეროვნულ-სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებს. ინვექტივის გამოყენების ნიმუში ქართული ლიტერატურის პირველსავე ტექსტში გვხვდება, თუმცა არა უხამსი ლექსიკით, რომელიც მხოლოდ უნდა ვივარაუდოთ: „მაშინ **იწყო უჯეროსა გინებად** ვარსქენ და ფერკითა თჳსითა დასთრგუნვიდა მას (შუმანიკს) ... და **აგინებდა ვარსქენ**

თესლ-ტომსა მისსა“. „ვეფხისტყაოსანში“ ლანძღვისას ინვექტივას ამძაფრებს უხამსი ლექსემებიც: „**როსკიპო, ბოზო დიაცო**, საქმრო რად მოაკლვევინე?“. ამ სიტყვათა ხმარება არც მაშინ ყოფილა მისაღები, ყოველ შემთხვევაში, მაღალი წრის ადამიანებში, რასაც პოემის შემდეგი ტაეპები ადასტურებს:

„დავარ მოსთქმიდა სიტყვათა, *რომელნი არა მსმენოდეს*:

ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ? ვეჭვ შენცა არა გლბენოდეს!“

დროთა ვითარებაში, განსაკუთრებით კი ბოლო ხანს, ინვექტივამ ქართულ დისკურსში მეტად ობსცენური ხასიათი შეიძინა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ვერბალურ აგრესიას. ქართულ ენაში ინვექტივის ევფემიზაციის არაერთი საშუალება არსებობს. თვით ეს ფაქტი შეიძლება შეფასდეს როგორც ეროვნულ-სპეციფიკური ნიშანი, მაგრამ თანამედროვე ენის მატარებელთა მეტყველების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ევფემიზაციის სტრატეგია საგრძნობლად შეცვლილია. მისი შესუსტება ან უგულვებელყოფა ინვექტივის აქტივაციის პირობებში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილში უხეშობის, სიტყვიერი ძალადობის მოთხოვნილება გაზრდილია და, შეიძლება ითქვას, ყოველდღიურად კიდევ უფრო იზრდება. უკანასკნელის თქმის საფუძველს გვაძლევს 15 წლის წინ ამ მიმართულებით წარმართული ჩვენი კვლევისა და დღევანდელი ქართული დისკურსის ანალიზის შედეგების შედარება.

საკითხის ერთი, ზნეობრივი მხარეა, უნდა გამოვიყენოთ თუ არა ობსცენური ლექსიკა, მეორე მხარე ის გახლავთ, რომ ენათმეცნიერული კვლევებიდან უწმაწური ლექსიკისა და ინვექტივის გამორიცხვა, როგორი მცირეც უნდა იყოს მისი ხვედრითი წილი, ენას „სტერილურად“ წარმოგვიდგენს და, ამდენად, მის დამახინჯებულ სურათს შექმნის. ინვექტიური დისკურსის ანალიზს, თავის მხრივ, სინათლის შეტანა შეუძლია ისეთ რთულ საკითხებში, როგორებიცაა სოციალური თუ კულტურული კონტექსტის შექმნა და ცვლილება, ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბება და განვითარება თუ სხვ. რამდენადაც ინვექტივა კომუნიკაციის ემოციური მხარის მატერიალიზაციის საშუალებაა, დისკურსის კვლევისას მისი უგულვებელყოფა გაუმართლებელია.

მარიამ ორკოდაშვილი

პაუზის შემავსებლები ქართულსა და ინგლისურში

თემა განიხილავს პაუზის შემავსებლების გამოყენებასა და ფუნქციებს ქართულსა და ინგლისურში.

„ასე რომ – ეს ნაშრომი – ჰმ – ეხება იმ პატარა – ერ – სიტყვებს, შემავსებლებს, რომლებსაც მოსაუბრეები იყენებენ – იქ – წინადადებების შუაში – იცით?“

ხშირად ნაწილაკებსა და შორისდებულებს უწოდებენ: დისკურსის აღმნიშვნელებს (იცვი, ასე რომ, ნუ, რაღაც) ან პაუზის შემავსებლებს (უმ, ერ, ჰმ), შესაბამისად, ისინი ხშირად საკომუნიკაციო და შემეცნებით ფუნქციებს ასრულებენ და გამოხატავენ: დამოკიდებულებას, ადამიანის გუნება-განწყობასა და ემოციებს; აგრეთვე – წინასწარ განწყობას, აზროვნების პროცესებს, წამოცდენას ქვეცნობიერი აზროვნებიდან, ლექსიკური მარაგის წვდომას – შესაფერისი სიტყვის ძიებას, რაც დამოკიდებულია სიტყვის გამოყენების სიხშირესა და დომინანტურ ენაზე, ასევე – მეხსიერებიდან სიტყვების სწრაფად და იოლად გახსენებაზე.

პაუზის შემავსებლების გამოყენებისა და ფუნქციების ნიმუშები

პაუზის შემავსებლები:

ჰმმ..... არა..... მთლად მასეც არ არის...

ერ... ერ... (არ ვარ დარწმუნებული, პასუხი არ მაქვს, არ ვეთანხმები, ...)...

ააჰ, აჰ (უსიტყვოდ გაოცება)...

უჰ – უჰ ... (მრავალმხრივი გამოყენება)...

უმ ... (შეყოვნება)...

აჰ! აბა ვნახო ... არა ... ვშიშობ, რომ არა ... არ მგონია, რომ ...

ადამიანის ასე მოპყრობა... ვფიქრობ, რომ...არა... ადამიანის...არა... ეს სკანდალი!

აუუ, არა, ეგ არ ქნა...

ვაა, რა კარგია!

კოგნიტიურ-შემცნებითი ფუნქციები:

კოგნიტიური ფუნქცია ავლენს სწორი სიტყვის ძიების და პასუხის არქონის ან უცოდინარობის დაფარვის პროცესებს; ზრდილობის ან ორჭოფობის გამო პასუხისგან თავის შეკავებას:

უმ, იცი რა, ბოდიში...

სოციალური და ფატიკური ფუნქციები:

ფატიკური ფუნქციის დროს პაუზის შემავსებლები უხერხულ სიჩუმეს გადაფარავენ საუბრის გასაგრძელებლად.

საკომუნიკაციო:

პაუზის შემავსებლების გამოყენება მოსაუბრის ემოციებისადმი ემპათიისა და გაგების გამოსახატავად, ან – რიგითობის შესთანხმებლად საუბრისას.

ემოციური ფუნქციები:

გალიზიანებისა და სიბრაზის განეიტრალება:

ჰმმ, მართალია...

კი, რა თქმა უნდა...

ერრ ... თითქოს და ...

ნამდვილად ...

განწყობის თეორია: იმპულსური ქმედება თუ წინასწარი განწყობა?

ხშირად პაუზის შემავსებლები გამონათქვამის ინტერპრეტაციას მიმართულებასა და ტრაექტორიას მატებს.

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით მონაცემთა ანალიზმა ცხადყო, რომ შორისდებულები და ნაწილაკები არა მხოლოდ იმპულსური ვერბალური საქციელის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, არამედ – მოსაუბრის წინასწარი განწყობის ამსახველებადაც. მიუხედავად იმისა, თუ რა პოზიციაში გამოიყენება შორისდებულები და ნაწილაკები (დისკურსის დასაწყისში, შუაში თუ ბოლოში, დისკურსის ცენტრში თუ განაპირა საზღვარზე), ისინი უბიძ-

გებენ იმპულსური საქციელისა თუ წინასწარი განწყობის შემდგომ კმედებებს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე შემდეგი:

ორენოვან ან მრავალენოვან მოსაუბრეებში რომელი ენის პაუზის შემავსებლები დომინირებს?

რა კონტექსტსა და გარემოებაში გამოიყენება ესა თუ ის პაუზის შემავსებელი?

ისინი გააზრებულად არის შერჩეული თუ – ავტომატურად წარმოთქმული?

მ ა ნ ა რ უ ს ი ე შ ვ ი ლ ი , ლ ი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

ქართულ-ინგლისურ ცნებათა შესატყვისობები (მასალები ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონისათვის)

2020 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის შესაქმნელად. ლექსიკონზე მუშაობენ თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომელები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების პროფესორები. ამ ერთობლივ პროექტს სიმბოლურად „საბასეული“ ვუწოდეთ, რადგან „სიტყვის კონა“ არის ქართული ენის ცნებებზე დამუშავების პირველი ცდა.

სალიტერატურო ქართულის ლექსიკური ფონდის შესასწავლად უმნიშვნელოვანესია სულხან-საბა ორბელიანის მიერ გამოყოფილი ცნებათა თემატური ჯგუფები, რომლებიც მე-20 საუკუნეში შეივსო და ახლებურად დამუშავდა. 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა სათანადო პროგრამა, სახელწოდებით „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი“. ეს პროგრამა ითვალისწინებდა რამდენიმე დარგის მიმოხილვას. ქართული ენის თემატურ ჯგუფებად კვლევა ივანე ჯა-

ვახიშვილის შემდეგაც გაგრძელდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მკვლევრებმა სხვადასხვა დროს შეისწავლეს ნათესაობის სახელები, ზოოლოგიური ნომენკლატურა, სხეულის ნაწილთა სახელწოდებანი. აღწერილ-დახასიათებულია ცალკე დარგების ლექსიკა: პურეულისა, მევენახეობა-მეღვინეობისა. საინტერესო და განსხვავებულია ქართველი ლექსიკოგრაფის, ბიძინა ფოჩხუას, მიერ გამოყოფილი ცნებათა სისტემები, მაგალითად, ადამიანი თემატური ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით ასეა წარმოდგენილი: *ადამიანი – ფიზიკური არსება*: 1. სქესი, 2. რასა, 3. გარეგნობა, 4. ორგანოები, 5. ორგანოთა ფუნქციები, 6. მოძრაობა, 7. აქტივობა; *ადამიანის სიცოცხლე* – 1. დაბადება, 2 ასაკი, 3. სქესობრივი ცხოვრება, 4. ორგანოები, 5. ორგანოთა ფუნქციები, 6. მოძრაობა, 7. აქტივობა სხვის მიმართ და სხვ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში (ხელმძღვანელი სალომე ოშიაძე) ცნებებზე მუშაობა ახლაც გრძელდება.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ენის სალექსიკონო ფონდი ჯეროვნადაა შესწავლილი, თუმცა თანამედროვე სალიტერატურო ენის მასალაც დასამატებელია და ამ მხრივ მუშაობა უნდა გაგრძელდეს. სწორედ ამ უნიკალურ მასალებს ეყრდნობა *ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონი*. თარგმნით ლექსიკოგრაფიაში ამ უიშვიათესი ღირებულების მასალის ინგლისური შესატყვისების დადგენა უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ასახული ქართული კულტურის სრულად წარმოსაჩენად, თანამედროვე ციფრულ სამყაროში ქართული ენის ადგილის დასამკვიდრებლად.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

ბრჭყალების გამოყენების ერთი შემთხვევისათვის

ჩვენი კვლევა ეხება ბრჭყალების ხმარების ერთ კონკრეტულ შემთხვევას, კერძოდ, მის გამოყენებას დაწესებულების დასახელებასთან. არსებული წესის მიხედვით, ბრჭყალები აუცილებელია სა-

ხელწოდებებთან, გ. შალამბერიძის დაზუსტების მიხედვით კი ის არ არის საჭირო, თუ სახელწოდებაში შედის სიტყვა „სახელობის“. ერთი შეხედვით წესი სრულია და ორაზროვნებას არ უნდა ქმნიდეს, თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელწოდებებთან ბრჭყალების გამოყენებისას დიდ სიჭრელეს ვაწყდებით. ზოგადი ვითარების გამოსაკვეთად შევისწავლეთ საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიათა დასახელებები. ჩვენ არ ვეხებით საკითხს, რამდენად სწორად არის ფორმულირებული ეს თუ ის სახელი, არამედ გვინტერესებს ამ ფორმულირების ვარიანტები დაწერილობის თვალსაზრისით.

მოპოვებული მასალის ანალიზისას გამოვლინდა, რომ გვაქვს რამდენიმე ტიპის სახელწოდებანი:

1. ესა თუ ის სიტყვა/სიტყვები (ქართული ან უცხოური) გამოიყენება ამა თუ იმ დაწესებულების აღსანიშნავად დაწესებულების ფუნქციური სტატუსის მითითების გარეშე. ეს სიტყვა შეიძლება იყოს როგორც საკუთარი, ისე საზოგადო არსებითი სახელი. მაგ., ა(ა)იპ „ჩარჩო“, სს „კერა“, სს „რიჩმონდი“...

2. დაწესებულების სახელწოდება შეიცავს ამ დაწესებულების/ორგანიზაციის ფუნქციური სტატუსის გამომხატველ სიტყვას, მაგალითად ისეთს, როგორცაა „ფონდი“, „ასოციაცია“, „აკადემია“, „ცენტრი“, „კოლეჯი“, „უნივერსიტეტი“, „სუპერმარკეტი“, „სამსახური“ და სხვ. „დემოკრატიის განვითარების ცენტრი“, „საქართველოს ახალგაზრდა მკვლევართა აკადემია“, „საქართველოს ელექტრონული ვაჭრობის პალატა“, „ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ასოციაცია“ და სხვ.

3. დაწესებულების სახელწოდება ამ დაწესებულების/ორგანიზაციის ფუნქციური სტატუსის გამომხატველ სიტყვასთან ერთად მოიცავს ამ დაწესებულების კონკრეტულ სახელსაც. ასოციაცია „ლილე“, ასოციაცია „ტყის პროდუქტი“, კოლეჯი „იკაროსი“, ფონდი „შირაქი“, საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“, საქველმოქმედო ფონდი „სინათლის გზა“, იურიდიული დახმარების ცენტრი „კანონი“, სუპერმარკეტი „დავითი“...

4. ცალკე ჯგუფს ქმნის ამა თუ იმ კონკრეტული ორგანიზაციის ფილიალების დასახელება. ასეთი სახელწოდებების შემადგენლობაში შედის იმ ორგანიზაციის დასახელებაც, რომლის ფილიალსაც ის წარმოადგენს. აქ გვაქვს ორგვარი ვარიანტი: როდესაც დასახელებულია ესა თუ ის ორგანიზაცია და შემდეგ მითითებულია, რომ ეს ფილიალია, ან ამ ორგანიზაციის სახელი წარმოდგენილია ნათე-

საობით ბრუნვაში და ისე გამოხატავს ფილიალის კუთვნილებას. პირველის მაგალითია: შპს „საქართველოს ფოსტა“ – ზუგდიდის ფილიალი, მეორე ჯგუფს განეკუთვნება: შპს მ სერვისი-ს საქართველოს ფილიალი, სივილ სენს კონსალტინგის საქართველოს ფილიალი... აქ მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული სახელწოდებები თვითონ შეიცავს ორგანიზაციის დასახელებას...

5. ცალკე ტიპად გამოიყოფა აბრევიაციით წარმოდგენილი სახელწოდებები: ასოციაცია „გიგითი“...

6. დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნის ისეთი სახელწოდებები, რომლებიც შეიცავს სიტყვაფორმას „სახელობის“: ვიქტორ დოლიძის სახელობის ხელოვნების კოლეჯი, დიმიტრი ყიფიანის სახელობის ფონდი, წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის საქველმოქმედო ფონდი... მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო დროს გახშირდა სიტყვის „სახელობის“ ამოღება ამგვარი სახელწოდებებიდან და ამგვარად მივიღეთ: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი“, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.

დადგენილი წესის მიხედვით ორაზროვნებას არ ქმნის პირველი ტიპისა და **სახელობის** შემცველი სახელწოდებები. პირველი აუცილებლად უნდა დაიწეროს ბრჭყალებით, უკანასკნელს კი – არ სჭირდება. რაც შეეხება დანარჩენი ტიპის სახელებს, აქ, ჩვენი აზრით, ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც კონკრეტულ სახელწოდებას გამოხატავენ და გამოიყენებიან არამირითადი მნიშვნელობებით. ფილიალების შემთხვევაში ბრჭყალები უნდა გამოვიყენოთ ძირითადი ორგანიზაციის სახელთან. ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი სახელწოდებების დაწერილობისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი წესით: **დაწესებულების/ორგანიზაციის მხოლოდ ის დასახელება ან დასახელების ის ნაწილი უნდა განვთავსოთ ბრჭყალებში, რომელიც ფუნქციურად საკუთარ სახელს უტოლდება.** ამგვარად თავიდან ავირიდებთ ორმაგი ბრჭყალების გამოყენებას ან საერთოდ გამოუყენებლობას. თქმულის შესაბამისად:

1. **ბრჭყალებით დაიწერება ორგანიზაციის სახელწოდებები/სახელწოდებების შემადგენელი ნაწილი** შემდეგ შემთხვევებში: ა(ა)იპ „ჩარჩო“, სს „კერა“, სს „ბაზელი“, ასოციაცია „ლილე“, კოლეჯი „იკაროსი“, ფონდი „შირაქი“, საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“, იურიდიული დახმარების ცენტრი „კანონი“, შპს დასუფთავების სა-

მსახური „კონკია“, სუპერმარკეტი „დავითი“, „დიანა ბაგრატიონის ფონდი“ – საქართველოს ფილიალი, შპს „საქართველოს ფოსტა“ – ზუგდიდის ფილიალი, შპს „მ სერვისის“ საქართველოს ფილიალი, „ევროკრაფტის“ ფილიალი საქართველოში, „სივილ სენს კონსალტინგის“ საქართველოს ფილიალი, ასოციაცია „გიგითი“...

2. ბრჭყალების გარეშე დაიწერება: დემოკრატიის განვითარების ცენტრი, სამოქალაქო განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა მკვლევართა აკადემია, საქართველოს ელექტრონული ვაჭრობის პალატა, ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ასოციაცია, პროფესიული ინოვაციების კოლეჯი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბი, აჭარული ნაქარგობის ფონდი, მეტროლოგიური სამსახური, ვიქტორ დოლიძის სახელობის ხელოვნების კოლეჯი, დიმიტრი ყიფიანის სახელობის ფონდი, წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის საქველმოქმედო ფონდი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.

რა თქმა უნდა, არ გამოვიყენებთ ბრჭყალებს აბრაზე ამა თუ იმ ორგანიზაციის დასახელების დაწერისას იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ საკუთართან გათანაბრებული სიტყვა/სიტყვები არის მოცემული (აღნიშნულ აბრაზე), თუმცა აბრაზე განთავსებისას ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ ფილიალების სახელწოდების ის ნაწილი, რომელიც ძირითადი ორგანიზაციის სახელს გამოხატავს.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ქართულ ანდაზაში უკუფენილად გაცხადებული ქრისტიანული სათქმელისათვის

(რწმენისა და ცოდნის გაერთიანების გამო)

მოხსენებაში განიხილება წინაპართაგან უშრომელად ბომბულის ის ანდაზები, რომელთაც თავდაპირველად უთუოდ ქრისტიანული (საღვთისმეტყველო) სათქმელი ჰქონდათ და სხვადასხვა ეპო-

ქალური ბედუკულმართობით ეს დასაბამიერი სათქმელი გაბუნდოვანდა, კაცობრივი სათქმელით შეიმოსა ან – სულაც აღიხოცა.

ექვსი ათასზე მეტი ქართული ანდაზის საგანძურში განირჩევა 2 მაგისტრალური თემატური ჯგუფი: 1) საწუთისოფლო და 2) სადმართო-სასულიერო (რელიგიურ-სარწმუნოებრივი, ბიბლიური, კატეხიზისური, სათნოებითი, სიბრძნითი, მკრეხელური).

ქართული სადმართო ანდაზის თავდაპირველი სათქმელის სათანადოდ აღქმისა და გააზრებისათვის გვმართებს გულისხმიერება და სიფრთხილე, რათა მას არ შემოეძარცვოს მადლმოსილება, რომლითაც იგი ქართველი „ხალხის გენიამ“ შემოსა (წმიდა ილია მართალი). ამ მიზნით მივმართავთ ანდაზის ე. წ. სიტყვა-გასაღების პრინციპს, კერძოდ:

ყოველ ანდაზას მოეპოვება სიტყვა, იშვიათად – შესიტყვება, რომელიც კოდირებულად მიგვანიშნებს ანდაზაში უკუფენილად დავანებულ თავდაპირველ კონკრეტულ სათქმელზე. ამ სიტყვა-გასაღების უფლებებელყოფას ან მის ჩანაცვლებას სხვა სიტყვა-გასაღებით მოჰყვება ანდაზათემმოქმედების მოტივისა და მიზანდასახულობის ნგრევა, რის შედეგადაც ძირფესვიანად იცვლის სახეს ხსენებული კოდირებული ინფორმაცია და ხელთ გვრჩება სადმართო-სასულიერო ანდაზის შეძენილი – საწუთისოფლო მოვლენაზე მორგებული სათქმელი.

ზემოთ წარმოდგენილ მეორე თემატურ ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჭარბობს ბიბლიური შინაარსის შემცველი ანდაზები, რომელთა სათქმელი სამგვარად გადმოიცემა: (ა) ბიბლიური ალუზია, (ბ) ბიბლიური პარაფრაზი, (გ) ბიბლიური შეგონება-სწავლებიდან ამოზრდილი სათქმელის შემცველი ანდაზები.

ამჯერად მოხსენებაში წარმოვადგენთ რამდენიმე ქართული ანდაზის სათქმელის მსგავსი „გადაგვარების“ ანალიზის ცდას მესამე (გ) ჯგუფიდან: „ძალა ერთობაშია“, „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“, „ჩვეულება // ჩვევა რჯულზე უმტკიცესია“, „ზოგი // ზოგჯერ ჭირი მარგებელიაო“, „სტუმარი ღვთისაა“, „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“, „მოჩქარეს მოუგვიანდესო“, „არცოდნა – არცოდვაა“.

ჩერქეზული სალიტერატურო ენების შესახებ

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ჩერქეზულ (ჩრდილოდასავლეთკავკასიურ) ჯგუფში გამოიყოფა ჩერქეზულ (ადიღურ) ენათა ქვეჯგუფი, რომელშიც ორი ენა შედის – ადიღური და ყაზარდოული (სხვაგვარად – ყაზარდოულ-ჩერქეზული); ისინი ახალდამწერლობიანი სალიტერატურო ენებია, რომელთაც ასი წლის ისტორია აქვთ.

ადიღურ სალიტერატურო ენას ფლობენ ადიღეს რესპუბლიკაში, კრასნოდარის მხარის ტუაფსის, ლაზარევსკაიას და ნოვოკუბანსკის რაიონებში მცხოვრები ჩერქეზები. ადიღურ ენაზე მეტყველებენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ევროპასა და ამერიკაში დამკვიდრებული ჩერქეზები, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კავკასიიდან გადასახლებული მუჰაჯირების შთამომავალთა ნაწილი (ბევრს მშობლიური ენა დავიწყებული აქვს), აგრეთვე, ადიღეს რესპუბლიკის აულ ბჟედულჰაბლში მცხოვრები ბერძნები და ქ. არმავირში მცხოვრები სომხები.

ადიღურში ამჟამად ოთხი დიალექტი გამოიყოფა (ისტორიულად მეტი ივარაუდება). სალიტერატურო ენა ემყარება ფონეტიკურად ყველაზე მარტივ ჭემგურ დიალექტს, რომელზეც, ამავე დროს, ადიღეს რესპუბლიკაში ყველაზე მეტი ჩერქეზი მეტყველებს. სალიტერატურო ენა თავდაპირველად (1918 წლიდან) ემყარებოდა არაბულ გრაფიკას, 1927 წლიდან – ლათინურს. 1938 წლიდან ადიღური სალიტერატურო ენა იყენებს რუსულ გრაფიკას (განსხვავებული მხოლოდ ერთი დამატებითი ნიშანია).

ყაზარდოულ (ყაზარდოულ-ჩერქეზულ) ენაზე მეტყველებენ ყაზარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში, ადიღეს რესპუბლიკის კოშეჰაბლის რაიონში, ქ. მოზდოკსა და მის მიდამოებში, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ყაზარდოელები. ყაზარდოულში რამდენიმე დიალექტი გამოიყოფა, სალიტერატურო ენა კი ემყარება დიდი ყაზარდოს მცხოვრებთა მეტი წილის მეტყველებას – ბაქსანის დიალექტს.

რაც შეეხება ანბანს, 1922 წლიდან ყაზარდოული ენისათვის გამოყენებული იყო ლათინური გრაფიკა, ხოლო 1935 წლიდან გამოიყენება კირილიცა (რუსული გრაფიკა).

მართალია, ჩერქეზული სალიტერატურო ენები ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნეში, მაგრამ, როგორც მ. კუმახოვი აღნიშნავს, დამწერლობის ცნება ჩერქეზებისათვის ცნობილი იყო დიდი ხნით ადრე, რასაც მოწმობს ისეთი საერთო ჩერქეზული სიტყვების არსებობა, როგორებიცაა **თხ'გნ** „წერა“, **თხ'გლ** „დამწერლობა“, **თხ'გლ** „წიგნი“. კერძოდ, ივარაუდება, რომ ჩერქეზებში გავრცელებული იყო ბერძნული ენა და დამწერლობა, რადგან ქრისტიანობა ბიზანტიიდან ვრცელდებოდა. ჩვენი მხრივ უნდა დავუმატოთ, რომ ამ თვალსაზრისით საქართველოს როლიც მნიშვნელოვანი იყო, რასაც მოწმობს „ჯვრის“ აღმნიშვნელი ტერმინები ჩერქეზულ ენებში (ადილ. **ჯორ**, ყაბ. **ჟორ** „ჯვარი“).

ორი სალიტერატურო ენის არსებობის პირობებში ჩერქეზები ერთ ხალხად აღიქვამენ თავს: ადილელიცა და ყაზარდოელიც თავის თავს **ადგლ'აზ**-ს უწოდებს, ენას – **ადგლ'აზზ** // **ადგლ'აზზ**-ს.

საერთო სალიტერატურო ენის შექმნა ვერ მოხერხდა, მაგრამ იყო ცდა სალიტერატურო ენათა ორთოგრაფიის გაერთიანებისა, რაც, სამწუხაროდ, მარცხით დამთავრდა.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ლექსემა ბიუჯეტური ახალ კონტექსტში – ენობრივი არჩევანი „აზრობრივი აქცენტით“

თანამედროვე სასაუბრო ქართულში მრავალი საჭირო თუ არასაჭირო სიახლე იჩენს თავს, რაც ენობრივი იერარქიის თითქმის ყველა დონეზე ვლინდება, თუმცა ლექსიკური დონე უპირველესია. ამგვარი სიახლეები ცოცხალი მეტყველების თანმდევი და უცილობელი ატრიბუტია, უმეტეს შემთხვევაში – ბუნებრივი და კანონზომიერი, შედარებით ნაკლებად – ხელოვნური. ცხადია, მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოა ორივე ჯგუფის სიახლეები, თუმცა

ამათგან უფრო მეტად პრობლემურია ხელოვნური შემთხვევები.

რამდენადაც ენის ლექსიკური დონე ხელოვნური სიახლეებით (ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, ვულგარიზმები, ევფემიზმები...) ყველაზე მეტად დატვირთული უბანია, იმდენადვე ყველაზე მეტად აქტუალური და პოპულარულია (სიახლე უმეტესწილად სწორედ პოპულარობაზეა დაფუძნებული და ისწრაფვის გახდეს მასობრივი). ამ ტიპის სიახლეთაგან ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანია ლექსემა **ბიუჯეტური** ახალ კონტექსტში. როგორც წესი, კონტექსტური ნიუანსები სინონიმის სფეროა. სიახლე უპირატესად კონტექსტურ ჭრილში იჩენს თავს, რამდენადაც გამოსახატავი შინაარსისათვის შესაფერისი ლექსიკური ერთეული (სრულიად ახალი ან ძველი ახალი სემანტიკური ნიუანსით), როგორც ერთგვარი სიახლე, საუბრული სიტუაციის პირმშოა. ლექსემა **ბიუჯეტური** ამის საუკეთესო ნიმუშია უახლესი საუბრული ქართულიდან, ასე, მაგ.:

ნუ იყიდით ძვირადღირებულს, **ბიუჯეტურზე** გააკეთეთ არჩევანი;

სრულიად ასუფთავებს სისხლმარღვებს... **ბიუჯეტურია**;

ბიუჯეტური ცხოვრება;

მსოფლიოს ფემინებელური და **ბიუჯეტური** სასტუმროები უმაღლესი შეფასებით;

ამ ყველაფერს უფრო **დაბალბიუჯეტურადაც** გვთავაზობენ ტურისტული ჯგუფები.

წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს კონტექსტთა აქტუალურობას, როცა **ბიუჯეტური** სტილისტიკური სინონიმური მეწყვილეა ისეთი სიტყვებისა, როგორებიცაა: იაფი, ეკონომიური, ხელმისაწვდომი, ხელსაყრელი, ნაკლებხარჯიანი, დაბალხარჯიანი, დაბალფასიანი, იაფფასიანი და მისთ. სტილისტიკურ სინონიმთა ამ რიგში **ბიუჯეტური** გამოხატავს უფრო მეტად ობიექტურ შინაარსობრივ სხვაობას და ნაკლებად სუბიექტურ დამოკიდებულებას (თუმცა მისი თავდაპირველი გამოყენების საფუძველი უდავოდ სუბიექტურია). ჩამოთვლილი კონტექსტები მოწმობს, რომ სინონიმური რიგის უკვე ცნობილ წევრთა უგულვებელყოფა (უკეთ: მათგან თავის არიდება) **ბიუჯეტურის** სასარგებლოდ სწორედ სტილისტიკური ნიუანსის გამოკვეთის – აზრობრივი აქცენტის დამსახურებაა. თავის მხრივ, ამგვარი არჩევანის უპირატესობას, როგორც მრავალრიცხოვან

ნი კონტექსტები მოწმობს, საფუძვლად უდევს ერთგვარი ევფემიზაცია. ამ შემთხვევაში ევფემიზაციის პირობითობას ექვემდებარება ძველი იდეოლოგიური სამყაროსაგან (საბჭოთა ყოფა-ცხოვრებისაგან) თავდაღწევისა და გამიჯვნის სურვილი; შესაბამისად, არჩევანი აზრობრივი აქცენტით სავსებით გამიზნულია იდეოლოგიური მიუღებლობისა თუ უხერხულობის დასაძლევად. ამგვარი მიზანსწრაფვა, ნებისთ თუ უნებლიედ, ცალსახად სცდება სტილისტიკის ფარგლებს და ერთის უპირატესობის მაგალითზე (ლექსემა *ბიუჯეტური*) ახალი პარადიგმათ: ენობრივი, იდეოლოგიური, ეკონომიკური) ენის ევფემისტური მოწესრიგებულობის უახლეს ნიმუშს გვთავაზობს.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ქართველური დამწერლობა

დამწერლობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიით მეტად მდიდარია ქართველური ენობრივი სამყარო/მემკვიდრეობა, რაც ძირითადად ფუძემდებელი წარმომავლობის ლექსიკაში აისახება. საქართველოში სამწიგნობრო ხელოვნებაში გამოყენებულ საწერ მასალას ტყავისაგან ამზადებდნენ. ცხოველის (ცხვარი, თხა, ხბო) ტყავისაგან დამზადებულ საწერ მასალას ძველქართულშივე ეწოდა *ეტრათი*. იგი ქართულ წერილობით ძეგლებში X საუკუნიდან დასტურდება. პარალელურად გვხვდება „წიგნი ტყავისაჲ (X ს., XI ს.). სულხან-საბა ორბელიანს *ეტრათი* განმარტებული აქვს, როგორც „ტყავის ქაღალდი, წიგნის ტყავები“. ქართულ ხელნაწერებზე დართული ანდერძმინაწერების მიხედვით, ეტრათის დასამზადებლად *ბატკნის*, *თიკნის* და *ზოგჯერ ირმის ტყავსაც* იყენებდნენ. საწერი ეტრათისაგან განსხვავებით, ყდის შესამოსად ძროხის ან სხვა რომელიმე ცხოველის შედარებით სქელ და უხეშ ტყავს ხმარობდნენ. დამწერლობის ჩასახვა და განვითარება ინტენსიური იყო კავკასიის რეგიონისათვის, რაზეც რეგიონში ორიგინალური დამწერლობების (ალბანური, სომხური, ქართული) არსებობა მეტყველებს.

ნაშრომში წარმოდგენილია წერის კულტურასთან დაკავშირებული არაერთი ქართველური ტერმინის ეტიმოლოგია, როგორებიცაა: კეფი, ქარტა, სინგური, შუყა...

სოფიკო ჭაავა

სასწავლო კომიტეტის მიერ მიღებული სალიტერატურო ენის ნორმები (1921 წლის საარქივო მასალების მიხედვით)

ჩვენ მიერ საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებული საკვლევი საარქივო მასალების მიხედვით, 1921 წელს სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულმა **სასწავლო კომიტეტმა** ჩაატარა სხდომები, სადაც განიხილეს (იმ პერიოდისთვის) ქართული სალიტერატურო ენისთვის მისაღები ნორმები. პროფ. **ივ. ჯავახიშვილის** ხელმძღვანელობით კომიტეტის წევრები მსჯელობდნენ საორგანიზაციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტების შესახებ და საბოლოოდ იღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი ნორმა უნდა დარჩენილიყო სალიტერატურო ქართულისთვის მართებულად.

სასწავლო კომიტეტის მიერ 1921 წლის იანვარსა და თებერვალში ჩატარებულ სხდომებს ესწრებოდნენ შემდეგი მეცნიერები: **ბ. ჭუმბურიძე, მ. კონიაშვილი, ევ ჭოღაშვილი, ს. გორგაძე, მ. თაქთაქიშვილი, ალ. ალადაშვილი, კ. კეკელიძე, ვ. კანდელაკი, ნ. ჩიგოგიძე, მ. ჭავჭავაძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი, აკ. შანიძე, ვ. ბერიძე, ალ. ჟორჟოლიანი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, გ. გედევანიშვილი, ალ. მდივანი, ი. მოსეშვილი, ექ. თაყაიშვილი, ილ. ყიფშიძე, მ. შალამბერიძე და გრ. ნათაძე.** თავმჯდომარე: **ივ. ჯავახიშვილი.** სამივე სხდომაზე მთავარი მომხსენებელი გახლდათ პროფ. **სერგო გორგაძე.**

ჩვენ მიერ განხილული 1921 წლის სხდომათა ოქმების შეჯამებით ირკვევა, რომ სასწავლო კომიტეტში გაერთიანებული კომისიის წევრები ამა თუ იმ სალიტერატურო ნორმის მიღებისას უპირველესად აზუსტებდნენ:

1. რამდენად იყო ერთი კონკრეტული ან მისი პარალელური ფორმა ხალხში გავრცელებული („ცოცხალი“);
2. აღმოსავლეთ საქართველოში გამოიყენებოდა თუ დასავლეთ საქართველოში;
3. რომელი ფორმა გამოიყენებოდა მწერლობაში;
4. ჰქონდა თუ არა რომელიმე ნორმის ვარიანტს ისტორიული სახე („წესი“);
5. შეიცვალა თუ არა სიტყვის მნიშვნელობა ან რა მნიშვნელობით იხმარებოდა ადრე.

მეცნიერები ზოგჯერ უარს ამბობდნენ მწერლობაში დამკვიდრებულ უმართებულო ფორმებზე და მათგან განსხვავებულ, კანონიერ ვარიანტებს უჭერდნენ მხარს.

მართალია, ითვალისწინებდნენ სიტყვის ისტორიულ მხარესაც, მაგრამ თუ ლექსიკური ერთული იმ პერიოდისთვის აღარ გამოიყენებოდა, ანუ – მათი თქმით, „აღარ იყო ცოცხალი“, მის ნაცვლად ახალ ფორმას ირჩევდნენ.

თუ ენაში თავისთავად, ბუნებრივად იყო შემოსული რომელიმე შეცვლილი ფორმა, მას ნორმად იღებდნენ.

ხელს უწყობდნენ მარტივი (მოქნილი) ფორმების დამკვიდრებას.

ვფიქრობთ, მართებული და კანონზომიერი იყო სასწავლო კომიტეტის წევრების მიერ 1921 წელს მიღებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ვინაიდან მათმა უმრავლესობამ დროს გაუძლო და საუკუნის შემდეგაც იმავე ფორმით გამოიყენება წერიითი თუ ზეპირი მეტყველებისას.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

მწერლისა და პერსონაჟების ენა რ. ინანიშვილის მოთხრობების მიხედვით

ქართული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლის – რ. ინანიშვილის პროზაში ლიტერატურულ ლექსიკასთან ერთად დასტურდება დიალექტური ლექსიკაც (როგორც სტილიზაციის საშუალება).

ამგვარ შემთხვევებში ავტორის ენა ლიტერატურულ, დახვეწილ, ორთოგრაფიულად გამართულ ლექსიკას ეყრდნობა, პერსონაჟის მეტყველება კი ძირითადად დიალექტურია და ორთოგრაფიულად მიუღებელი. მაგ.:

მავთული/მართული: *მავთულებზე* მიაკრა განზე წასული რქები („ალერსი შიშიანობის დროს“, თბ., 1986), ეხლა ან სახაზავი უნდა გეჭიროს ხელში... ან *მართულები* („ალერსი შიშიანობის დროს“, თბ., 1986); **მედალი/მენდალი:** თვალი გოგიას ცოლს დაუდგეს, რაც არ უნდა ეცადოს, ხომ ვეღარ მოხსნის მავყალას დაკიდებულ *მენდალს* გოგიასო („ალერსი შიშიანობის დროს“, თბ., 1986); **ჰალსტუხი/გალსტუკი:** *ჰალსტუხსაც* თვითონ უკეთებდა, მზაკვანძიან ჰალსტუხს („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, თბ., 1989), *გალსტუკი* მობრეცოდა („ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“, თბ., 1974); **ხაკუნი/პაკუნი:** გოგო... (თინა) კიბეზე *ჩამობაკუნდა* („ალერსი შიშიანობის დროს“, თბ., 1986), დილის ექვს საათზე ენერგიულად *მივპაკუნობ* მეტროსკენ („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, თბ., 1989).

იშვიათად ავტორისეულ ენაში ლიტერატურულ სიტყვებთან ერთად დიალექტური ფორმებიც იჩენს თავს. მაგ.: **ზლაცუნი/ზაცუნი;** **ტყაპუნი/ტკაპუნი;** *ჩაზლაცუნდებოდა*, ან თავს აიქნევდა („ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“, თბ., 1974), ტროლეიბუსი თუ *ჩაზაცუნდებოდა* („პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, თბ.1989); **ტყაპუნ-/ტკაპუნ-:** წვიმის ბრტყელი წვეთები ძირხვენისა და კულმუხოს ფოთლებზე *ატყაპუნდა* („შორი თეთრი მწვერვალი“, თბ., 1976), *ტკაპუნობენ* ხმელი ფოთლებიც („ჩიტების გამომზამთრებელი“, თბ., 1978).

რიგ შემთხვევაში სამწერლო ქართულიდან ცნობილი ზოგი დიალექტური წარმომავლობის ლექსემა სხვადასხვა კვალიფიკაციით (მაგ.: ძვ., კუთხ., იგივეა, იხ.) წარმოდგენილია ქველში. ამგვარი ლექსემების უმეტესობა თავს იჩენს როგორც ავტორის ენაში, ისე პერსონაჟების მეტყველებაში. **ყუდრო/მყუდრო;** **ღრჩობა/ხრჩობა;** **აბრება/აზრება;** **მურდალი/მურტალი;** **წკლაპუნი/წკლატუნი/მწკლატუნი;** **მაცდური/მაცთური** და სხვ. მაგ.: **ყუნტ-/ყუნთ-:** (კარვის წინ) შესასვლელთან, დიდი ქოფაკი ძაღლები *დაყუნთებულან* („კეთილი მიწა“, თბ., 1984), ტურები... *დაყუნტდებოდნენ* ტყისპირა სახლის შორიახლოს და გააბამდნენ კივილს ონავარი ყმაწვილივით („შორი თეთრი მწვერვალი“, თბ., 1976); **ქირქილი/ქირქირი:** *ჩაიქირქირა:* – ხი-ხი-ხი-ხი! („მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან“, თბ., 1958),

მაჩვენა კიდევ უფრო მედიდური სახე მიიღო და თავისთვის *ჩაიქირ-ქილა* („შორი თეთრი მწვერვალი“, თბ., 1976); **ჭვალი/მჭვალი**: სოლომონს, *ჭვალი* დაადგა, მერე მთლად დაბლუნდა, გაასაცოდავა („შორი თეთრი მწვერვალი“, თბ., 1976), ჩემი ბიჭის *მჭვლები* დაგადგეთ თქვენაო („სადამო ხანის ჩანაწერები“, თბ., 1971).

ნ ი ნ ო ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე

სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგი ტენდენციის შესახებ ქართულში

როგორც ცნობილია, ქართულში ვინმეს მიერ სხვისი ან თავისი ნათქვამის გადმოცემისას გამოიყენება სხვათა სიტყვის ნაწილაკები: **-ო**, **-მეთქი** და **-თქო**. ისინი „თქვა“, „მე ვთქვი“ სიტყვათა ცვეთის შედეგად არის ნაწილაკებად ქცეული. მათგან, მკვლევართა აზრით, ყველაზე ადრე **-ო** ნაწილაკი უნდა ჩამოყალიბებულიყო, რაზეც მიუთითებს ამ ნაწილაკის ძალზე შეკვეცილი სახე და მისი სხვებზე უფრო ხშირი გამოყენება ძველ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში; ყველაზე გვიან ჩამოყალიბებულა **-თქო**, რომელიც მეორე პირისადმი მიმართვისას გამოიყენება. თავად ეს დაკავშირება ჩანს გვიანდელი, თორემ ფორმა **-თქო** ერთი საფეხურია **თქვა**-ს **ო**-დ ქცევის პროცესისა (მ. ჯანაშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, გ. კაჭარავა, ე. ბაბუნაშვილი...).

სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამოყენებისა და მართლწერის წესები სალიტერატურო ენის ნორმით არის დადგენილი, თუმცა ერთგვარობა ირღვევა ხოლმე. ბოლო დროს მკვეთრად გამოიკვეთა ზოგი ტენდენცია, რომლებიც სასაუბრო, სპონტანური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და გვხვდება ამ მეტყველების ამსახველ ლიტერატურულ ტექსტებშიც. კერძოდ, **-თქო** ნაწილაკი ივართოებს გამოყენების არეს, გახშირდა მისი გამოყენება **-მეთქი** ნაწილაკის ნაცვლად: „გავიფიქრე ნეტა მე თუ მოვხვდები ამ კედელზე საპატიო ადგილას ჩემი ბიოგრაფიით-**თქო**...“ (თ. მიშელაძე); „მერე

ვეტყვი, მამაო დამლოცე-**თქო**“ (თ. მიშელაძე); „ბევრჯერ გითხარი წავალ-**თქო**“ (მ. მირუაშვილი). **-თქო** ნაწილაკით პირველი პირის ნათქვამის გადმოცემა დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის, რაც ახლა კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა.

ახალგაზრდულ ჟარგონულ მეტყველებაში ხშირად გამოიყენება **-მეთქი** ნაწილაკი წინადადების დასაწყისში ვისიმე ნათქვამის ან ნაფიქრის გადმოცემისას. **მეთქი** ამ შემთხვევაში წინადადებაში ჩართული სიტყვაა და ნიშნავს – ვიფიქრე, გავიფიქრე: „გამოვედი და **მეთქი**, ამას ვემალო ახლა?“, „(საზამთრო) წყნეთის გზაზე ვიყიდე, – თქვა უცებ, – **მეთქი** სანამ მზე დააცხუნებს“, „**მეთქი**, ჩავალ, დავხედავ“ (ა. მორჩილაძე). ამავე დროს წინადადების თავში **მეთქი** სხვა ფუნქციითაც გვხვდება; იგი გამოიყენება „ვუთხარი“ ზმნის მნიშვნელობით: „**მეთქი** თითი არ დამაკარო, შე დამპალო!“ (მ. ბექაური); „**მეთქი** – აქა ვარ“ (ა. მორჩილაძე). ზოგჯერ, როდესაც გრძელი წინადადებაა, **მეთქი** მის დასაწყისშიც არის გამოყენებული და ბოლოშიც: „**მეთქი**, დარწმუნებული ვარ, მთელი ცხოვრება ნანეტს იჭრიდი და მაგის ბრალი იქნება-**მეთქი**“ (ი. ფეზუაშვილი). ახალგაზრდული ჟარგონული მეტყველების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია პრიმიტიულობა, რამაც, ვფიქრობთ, ხელი შეუწყო **-მეთქი** ნაწილაკის სხვადასხვა ფუნქციით გამოყენებას და მის გააქტიურებას.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი,
ლ ე ლ ა ჩ ო თ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

მცენარეთა ლათინური სამეცნიერო სახელების ქართულად გადმოტანის ზოგიერთი თავისებურება

მცენარეთა ლათინური ნომენკლატურული სახელების ქართულად გადმოტანა და სისტემური დალაგება მე-19 საუკუნეში დაიწყო, თუმცა, საზოგადოდ, ქართულ ბოტანიკურ ტერმინთა შექმნის ისტორია ჯერ კიდევ შესასწავლია.

მცენარეთა სამეცნიერო სახელების ლათინურიდან ქართულში სწორად გადმოტანისა და გამართული დაწერილობისათვის, და-

დგენილი საერთაშორისო წესების გათვალისწინებასთან ერთად, ხშირად აუცილებელია ახალი რეკომენდაციების შემუშავება და უკვე დამკვიდრებული ფორმების ცვლილება. ამ დროს ერთმანეთთან უნდა შეჯერდეს **ლათინური** და **ქართული** ენების მონაცემები, ამასთან, გასათვალისწინებელია ორივე ენის თავისებურებანი, კანონზომიერებანი, ასევე – სიახლეები საერთაშორისო ბოტანიკურ ნომენკლატურაში და სხვ.

„მცენარეთა სახელების ლათინურ-ქართულ ლექსიკონზე“ (ლ. ჩოთალიშვილი, დ. ჭელიძე, ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი) მუშაობისას მცენარეთა ქართული სამეცნიერო სახელების ლათინურიდან სწორად გადმოტანისა და მისი გამართული დაწერილობისათვის ლინგვისტურ-ფილოლოგიური ანალიზის შედეგად შევიმუშავეთ ლათინურ ფიტონიმთა ქართულად გადმოტანის გარკვეული წესები.

მცენარეთა გვარისა და სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტის გადმოტანა, მართლწერა

ლათინურ ფიტონიმთა ქართულად გადმოტანისას დეფისით დაწერილობის წესი არაერთგვაროვნადაა გატარებული, არადა, დეფისით დაწერილობა ქართული ენის კანონების მიხედვით მკაფიოდაა განსაზღვრული. მასზე დაყრდნობით განვახორციელეთ შემდეგი ცვლილებები: ა) როგორც გვარის სახელწოდება, ასევე სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტი, თუკი ქართულად აქამდე ორი სიტყვით ან დეფისით იყო წარმოდგენილი, შერწყმის გზით ვაქციეთ ერთ სიტყვად, მაგ.: 1. *გვარი*: სურნელოვანი **მთის ნეგო** > სურნელოვანი **მთისნეგო**; დიდბაიასფოთოლა **ჩაწყობილა-ხაია** > დიდბაიასფოთოლა **ჩაწყობილახაია**; ბატის **მარწყვა-ბალახი** > ბატის **მარწყვაბალახა** და სხვ. 2. *სახეობის ეპითეტი*: ა) თუკი ლათინურ სახელწოდებაში სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტი დეფისითაა წარმოდგენილი, ქართულად გადმოტანისას დეფისი ამოვარდება და ის ერთ სიტყვად ფორმდება: *Dryopteris **flix-mas*** – **მამალგვიმრა** იფხლი, *Vaccinium **vitis-idaea*** – **იდასვაზი** მოცვი... ბ) თუკი შერწყმის შედეგად მიღებული რთული ფორმის მეორე კომპონენტი თანხმოდანფუძიანი სახელია, მას დაერთვის მქონებლობის -**ა** სუფიქსი, რომელსაც ქართულში მკვეთრად გამოხატული **მაფიტონიმებელი** ფუნქციაც გააჩნია.

ადამიანთა გვარები და სახელები ლათინურ ფიტონიმებში

ცნობილი ადამიანები, რომელთა საკუთარი სახელები დასტურდება ფიტონიმებში, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან. ამიტომ გვარებისა და სახელების გადმოტანისას გავითვალისწინეთ შემდეგი: კონკრეტული ენის ფონეტიკური წესები და წარმოთქმის თავისებურებანი; საკუთარი სახელების ქართულად გადმოტანის ტრადიცია; თავად ფიტონიმთა წარმოშობის ისტორია.

გეოგრაფიული სახელები ლათინურ ფიტონიმებში

გეოგრაფიულ სახელთა ეპითეტების მქონე ლათინური ფიტონიმების ქართულად გადმოტანისას არაერთგვაროვნების თავიდან ასაცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი: 1. ეპითეტებად გამოყენებულ გეოგრაფიულ სახელთა თავდაპირველი ენობრივი კუთვნილება და ქართულში ამ ენიდან სესხების წესები; 2. ქართულისათვის ძირითადია გეოგრაფიულ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა; 3. ზოგიერთი სახელი ფორმდება წარმომავლობის **-ურ/-ულ** სუფიქსით.

მცენარეთა ზოგიერთი ლათინური სამეცნიერო სახელის ქართულად გადმოტანისას აუცილებელი ჩანს მისი **წარმოშობის ისტორიის** გათვალისწინებაც.

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

ა-ზე დაბლოებული ტოპონიმთა კვეცა-უკვეცელობის საკითხისათვის თანამედროვე ქართულში

ა-ზე დაბლოებული ყველა ტოპონიმი ქართულში, წესისამებრ, იკვეცება. ეს ეხება როგორც ქართულ, ისე უცხოურ სახელებს:

ქართული ტოპონიმები:

მცხეთ-ა – მცხეთ-ის
მესტი-ა – მესტი-ის
ივერი-ა – ივერი-ის...

უცხოური ტოპონიმები:

პრალ-ა – პრალ-ის
ამერიკ-ა – ამერიკ-ის
აფრიკ-ა – აფრიკ-ის...

აღნიშნული წესი ძირითადად არ ირღვევა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში სასაუბრო მეტყველებაში (და არცთუ იშვიათად – სპეციალურ ლიტერატურაშიც კი) ამა თუ იმ ფორმის უკვეცელი (სალიტერატურო ნორმის მიხედვით – არასწორი) ვარიანტია გაბატონებული (მაგ.: **ტრო-ა-ს** ომი, **არიზონ-ა-ს** შტატი, **გან-ა-ს** რესპუბლიკა...).

ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული ფორმების უკვეცელობა, ერთი მხრივ – ტრადიციისა („**ტრო-ა-ს** ომი“) და, მეორე მხრივ – შესაბამისი ტოპონიმების (მაგ.: „**გან-ის** რესპუბლიკა“) სიახლის, ნაკლები ხმარება-გავრცელებისა და, აქედან გამომდინარე, უცხო ფორმად (ენამ ჯერ რომ ვერ გაითავისა) მიჩნევის (წმინდა ფსიქოლოგიური აღქმის) შედეგია. უკვეცელ ფორმათა დამკვიდრებაში თავისი წვლილი კვეცის შემთხვევაში გაბუნდოვანებული შინაარსის ფაქტორსაც შეაქვს (მსგავსი მოვლენა სხვა ენებშიც ფრიად გავრცელებულია), განსხვავება მიდგომაშია – ქართულში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ასეთი ფორმებიც საერთო წესს (კვეცას) უნდა დაემორჩილოს...

სტუდენტთა სექცია

ნ ა მ ი ლ გ ა ს ა ნ ო ვ ი

სიტყვა „ძალის“ შემცველი ფრაზეოლოგიური გამოთქმები აზერბაიჯანულში (ქართულთან მიმართებით)

სამეცნიერო ლიტერატურაში ფრაზეოლოგიურ შეხამებად მიჩნეულია როგორც იდიომები, ასევე ანდაზები, გამოცანები, ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

მოხსენებაში განხილულია იმ სახის მყარი შეხამებანი (აზერბაიჯანული ენის მასალის გათვალისწინებით), რომელთა შემადგენლობაში მონაწილეობას იღებს ლექსიკური ერთეული „ძალი“ – როგორც საკვანძო სიტყვა.

აღმოჩნდა, რომ ორ ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენაში იძებნება ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულებისაგან შედგენილი მყარი შეხამებანი ამა თუ იმ აზრის ხატოვნად წარმოსაჩენად.

ჩვენი მასალა შემდეგნაირად არის განლაგებული: ჯერ წარმოდგენილია აზერბაიჯანული ფრაზეოლოგიური გამოთქმა (კერძოდ, იდიომი), მაგ.: „İtin sözüni demək“, რომელსაც მიწერილი აქვს სიტყვასიტყვითი თარგმანი ქართულად: „ძალისათვის განკუთვნილი სიტყვის თქმა (ვინმესთვის)“; მესამე სვეტში ახსნილია მყარი შეხამების მნიშვნელობა – ამ შემთხვევაში „არაფრად ჩაგდება“; მეოთხეში გათვალისწინებულია აზერბაიჯანული იდიომის ქართული შესატყვისი (ასევე იდიომის სახით): „ძალად არჩაგდება (ძალად არ აგდებს)“; ხოლო მეხუთეში ახსნილია ქართული იდიომი.

მარიამ ტეფნაძე

მსაზღვრელ ნაცვალსახელთა ბრუნების ტიპები ძველ ქართულში

მოხსენებაში გაანალიზებულია მსაზღვრელ ნაცვალსახელთა ბრუნების ტიპები ძველი ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით. ისინი (მსაზღვრელი ნაცვალსახელები) ბრუნების შვიდ ტიპს წარმოგვიდგენენ:

I ტიპი – უკუმშველი მსაზღვრელი ნაცვალსახელები:

- კითხვითი ნაცვალსახელი – *რაოდენი (რაოდენი ჟამი...)*;
- ჩვენებითი ნაცვალსახელები: *ესრწთი // ესრეთი, ეგრწთი // ეგრეთი, ესეოდენი // ესოდენი // ესთენი, ეგეოდენი // ეგოდენი, ესევითარი, ეგევითარი, ესემლევანი, ეგემლევანი (ესოდენი საწრმუნოვება...)*;
- კუთვნილებითი ნაცვალსახელები: *ჩემი, შენი, ამისი, მაგისი, მისი, თვისი, ჩუენი, თქუენი, ამათი, მაგათი, მათი, ვისი (პირსა შენსა...)*;
- განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: *თითოეული, თავადი (თავადი იესუ...)*.

II ტიპი – კუმშვადი მსაზღვრელი ნაცვალსახელები:

- კითხვითი ნაცვალსახელი – *რომელი (რომლითა ჯელმწიფებითა...)*;
- განსაზღვრებითი ნაცვალსახელი – *ყოველი (ყოვლითა გულითა...)*.

III ტიპი – უკვეცილი მსაზღვრელი ნაცვალსახელები:

- უარყოფითი ნაცვალსახელები: *ნურარად, არარად, ნურად, ვერარად (არარას ბრალსა...)*;
- კითხვითი ნაცვალსახელი – *რად (რად სიტყუად...)*.

IV ტიპი – **კვეცადი მსაზღვრელი ნაცვალსახელები:**

- *სხუა, თითოსახს (სხუად მცნებად...)*...

V ტიპი – **ფუძემონაცვლე მსაზღვრელი ნაცვალსახელები:**

- ჩვენებითი ნაცვალსახელები: *ესე, ეგე, იგი (გალილეველნი ესე...)*...

VI ტიპი – **„ვინ“ ფუძის შემცველი მსაზღვრელი ნაცვალსახელები:**

- კითხვითი ნაცვალსახელი – *ვინ*;
- უარყოფითი ნაცვალსახელები: *არავინ, ვერავინ, ნუვინ, არღარავინ, ვერღარავინ (არავინ მონამან...)*.

VII ტიპი – **ნაწილაკიანი მსაზღვრელი ნაცვალსახელები:**

- *ვინმე, რადმე, რომელიმე (ვინმე კვრინელი...)*...

აღსანიშნავია, რომ თითოეული ტიპი განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან.

ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე

ობოზიციურ წყვილთა სემანტიკური ჯგუფებისათვის ქართულში

მოხსენებაში გაანალიზებულია არა მხოლოდ ტრადიციული ანტონიმური წყვილები, არამედ ყველა სახის საპირისპირო შინაარსის მქონე ლექსიკური ერთეული მეტყველების ნაწილთა მიხედვით.

მოდღვრება ანტონიმების შესახებ ლექსიკოლოგიის მთელი დარგია. ანტონიმთა შესწავლამ უნდა გამოავლინოს ცოცხალი, მო-

ქმედი კავშირები სიტყვათა შორის და მათი ისტორია, აგრეთვე – დროში ცვალებადობა, ამ კავშირთა მიმართება სიტყვაწარმოებასთან და ანტონიმის გავლენა ცალკე სიტყვის მნიშვნელობაზე, გრამატიკულ ბუნებასა თუ ფონეტიკურ სახეზე (ფოჩხუა 1974: 276).

ანტონიმია მონოგრაფიულად შესწავლილი ჯერ არ ყოფილა (არც ანტონიმთა ვრცელი ლექსიკონი გვაქვს), შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ პრობლემა დაწვრილებით შესასწავლია და აქტუალური.

ოპოზიციურ წყვილთა მოძიებისას, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ვემყარებოდით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეკომენდულსა და ახალი რედაქციის ოთხ ტომს. მასალაში ამავდროულად გათვალისწინებულია თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში მოძიებული და აგრეთვე ახლად შემოსული მასმედიის, მედიცინისა თუ სხვა სფეროებში დადასტურებული ლექსიკური ერთეულები. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესოა ყველა სახის სემანტიკურად დაპირისპირებულ ლექსიკურ ერთეულთა კვლევა.

მასალის ანალიზისას სიტყვათა სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფში გამოიყო გარკვეული ტიპის ოპოზიციური წყვილები:

- **მქონებლობა-უქონლობის ოპოზიცია:** ცოლიანი – უცოლო, პირბადიანი – უპირბადო, მზიანი – უმზეო, სახელიანი – უსახელო...
- **ადგილის ოპოზიცია:** ბარი – მთა, ცა – ხმელეთი, აქ – იქ, ზევით – ქვევით...
- **დროის ოპოზიცია:** მომავალი – წარსული, ადრე – გვიან, გაზაფხული – შემოდგომა, ზამთარი – ზაფხული...
- **ვითარების ოპოზიცია:** კარგად – ცუდად, ოფიციალურად – არაოფიციალურად, ნელა – ჩქარა, ლამაზად – ულამაზოდ...
- **ჯერობის ოპოზიცია:** ბევრჯერ – ერთხელ, ერთხელ – მრავალჯერ, ერთგ ზის – მრავალჯერ ზის...
- **კუთვნილების ოპოზიცია:** ყველასი – არავისი, საკუთარი – სხვისი...
- **ვინ და რა ჯგუფის ოპოზიცია:** ვინ – რა...
- **მიმართულების ოპოზიცია:** ავდო – ჩაავდო, აავზენის – ჩაავზენის, აიტანა – ჩაიტანა, ავიდა – ჩავიდა, ააქვს – ჩააქვს, მარჯვნივ – მარცხნივ...

• **წარმომავლობის ოპოზიცია:** აქაური – იქაური, შინაური – გარეული, ქალაქელი – სოფლელი...

• **ოპოზიცია გარეგნული ნიშნის მიხედვით:** ლამაზი – უმწო, ლამაზი – ულამაზო, მაღალი – დაბალი, გრძელი – მოკლე, ახალგაზრდა – მოხუცი, მოდიდო – მომცრო, ულამაზესი – უმახინჯესი ...

• **ოპოზიცია შინაგანი ნიშნის მიხედვით:** ამაყი – თავმდაბალი, ბეჯითი – ზარმაცი, ალტრუისტი – ეგოისტი...

• **ოპოზიცია სირთულე-სიმარტივის ნიშანთა მიხედვით:** ადვილი – რთული, იოლი – ძნელი, მარტივი – ძნელი, უმარტივესი – ურთულესი...

• **ოპოზიცია ემოციური ნიშნის მიხედვით:** ტირის – იცინის, უხარია – სწყინს ...

• **გრძნობა-განცდის ოპოზიცია:** უყვარს – სძულს, უყვარს – ეჯავრება, უყვარს – ეზიზღება ...

• **დადასტურება-უარყოფის ოპოზიცია:** ადასტურებს – უარყოფს, არა – დიახ, არა – ჰო, არა – კი ...

• **ტემპერატურის ოპოზიცია:** აგრილდება – დათბება, აცივდება – დაცხება, აცივებს – აცხელებს ...

• **სინათლე-სიბნელის ოპოზიცია:** სინათლე – სიბნელე, დაბნელება – განათება, დღე – ღამე, აბნელებს – ანათებს...

• **ამინდის ოპოზიცია:** ავდარი – დარი, ავდრობს – დარობს...

• **ფერთა ოპოზიცია:** ათეთრებს – აშავებს, თეთრი – შავი, ფეროვანი – უფერული ...

• **არსებობა-არარსებობის ოპოზიცია:** არსებობა – არარსებობა, ყოფნა – არყოფნა...

• **ოპოზიცია სქესის მიხედვით:** დედალი – მამალი, ასული – ძე, ბებია – ბაბუა, ქალი – კაცი, გოგო – ბიჭი...

• **გეოგრაფიულ მხარეთა ოპოზიცია:** აღმოსავლეთი – დასავლეთი, ჩრდილოეთი – სამხრეთი...

• **მანძილის ოპოზიცია:** ახლო – შორი, აახლოებს – აშორებს, უახლოვდება – შორდება, ახლოს – შორს...

• **პროფესიულ ტერმინთა ოპოზიცია:** მუს. მინორი – მაჟორი, ფორტე – პიანო...; მათემ. შეკრება – გამოკლება, პლუსი – მინუსი...; მედიც. ჰიპერტონია – ჰიპოტონია...

ამ სახის მასალა ამოუწურავია.

ვფიქრობთ, სემანტიკურად დაპირისპირებული ლექსიკური ერთეულები თავისთავად მოიაზრებს ყველა სახის ანტონიმურ წყვილს და ამავდროულად ითვალისწინებს, როგორც უკვე ითქვა, ზოგადად, ოპოზიციას (დაპირისპირებას), რაც მრავალფეროვნად და ნაირგვარადაა წარმოჩენილი ქართულში.